# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№50 (25.074) სამშაბათი, 16 - 17 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 19-24, შიდამთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების მე-4 სამიტში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც რეიკიავიკში იმართება. სამიტის მონაწილეებს ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით მიმართავს. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა. მხარეებმა დადებითად შეაფასეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დინამიკა. ყურადღება გამახვილდა ნაყოფიერ თანამშრომლობაზე ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სხვა სფეროებში. ისაუბრეს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. „მხარეებმა გამოხატეს რეგიონული მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიმართულებით თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა", - ნათქვამია პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

პარლამენტის 19 მაისის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის წესით სამ მინისტრს მოუსმენენ. ოპოზიციონერი დეპუტატების მოთხოვნით, პარლამენტში დაბარებული არიან განათლებისა და მეცნიერების, შინაგან საქმეთა, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრები. შს მინისტრის მიმართ კითხვა ეხება მიმდინარე წლის 7-8 მარტის მოვლენებს, განათლების მინისტრი სკოლებში ბავშვთა უფასო კვების, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ანაკლიის პორტთან დაკავშირებით გაგზავნილ კითხვებს უპასუხებს.

* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილის განცხადებით, ავიამიმოსვლასთან დაკავშირებით, ქართული მხარე ეფუძნება მსოფლიოში ყველაზე უფრო მკაცრ მიდგომას, რომელსაც ის ქვეყნები იყენებენ, ვისაც რუსეთთან ფრენები გააჩნია. მისი განმარტებით, ფრენების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ცალმხრივი იყო. „რუსეთის ფედერაციამ ცალმხრივად შეწყვიტა ფრენები 2019 წელს და ასევე, მათ ცალმხრივად განაახლეს ფრენები საქართველოსთან", - აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ დღეისთვის მოთხოვნა არის როგორც თბილისის, ისე ქუთაისის და ბათუმის მიმართულებით, როგორც ქართული, ისე რუსული ავიაკომპანიების მხრიდან.

მოამზადა
ია შველიძე

# მსოფლიო თასს ხმლით ფარიკაობაში ბათუმმა უმასპინძლა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა ქალთა შორის მსოფლიო თასის გათამაშება ხმლით ფარიკაობაში „ბათუმის თასი 2023", რომელშიც 36 ქვეყნის 26 გუნდი (ბრაზილიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, უკრაინის, საქართველოს, ჰონკონგის, კორეის, იაპონიის, კანადის, თურქეთის, აზერბაიჯანის...) 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები. ქალაქმა ასეთი რანგის ტურნირს ფარიკაობაში პირველად უმასპინძლა*



ალსანიშნავია, რომ ასპარეზობას სხვებთან ერთად, FIE-ს ქართველი არბიტრები დავით სახვაძე, თათია აფციაური, ზაზა მჭედლიძე და კახა მახარაძე მსაჯობდნენ. შეჯიბრებაზე პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულები გათამაშდა. საქართველოს ნაკრებში 8 სპორტსმენი შედიოდა, ამათგან მარიამ ტუღუში და ევა აჰმიანი ბათუმის სპორტის სასახლის წარმომადგენლები იყვნენ.

პირველ დღეს ჯგუფური ეტაპები გაიმართა, მეორე დღეს კი 64 საუკეთესო ქალი სპორტსმენი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. აქ შედგა ფრანგული ფინალი. სარა ბელაზერმა დაამარცხა თანამემამულე კაროლინ ტეროლი და პირველი ადგილი მოიპოვა, მესამეზე - იტალიელი მოფარიკავე გავიდა. ოლიმპიადის ქულები რვა მოფარიკავემ მოიპოვა.

მესამე დღეს გუნდური შეჯიბრება გაიმართა და თითო გუნდში 4-4 წარმომადგენელი იყო, ლიცენზია 12-ივემ მოიპოვა. პირველ ადგილზე უკრაინელი მოფარიკავეები გავიდნენ, მეორეზე - ამერიკელი, მესამეზე - ესპანეთის მოფარიკავეები.

- ჩვენი ახალგაზრდა გუნდი დამაკმაყოფილებლად გამოვიდა. ასპარეზობა დიდებში - სენიორებში ტარდებოდა, ჩვენები კი ძალიან ახალგაზრდები არიან - 15-16 წლისანი. ვფიქრობთ, რომ მათ სამომავლოდ ძალიან კარგი გაკვეთილი მიიღეს, უფრო მეტს იშრომებენ და მაღალ შედეგებსაც მიაღწევენ, ისევე, როგორც ახლახან სანდრო ბაზაძემ. ასეთი ჩემპიონები გვიმრავლოს უფალმა. მადლობა აჭარის მთავრობას მასპინძლობისთვის - შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩატარდა, რაც საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმაც ხაზგასმით აღნიშნა. ეს აქ მნიშვნელოვანი დონის ტურნირების ჩატარების შესაძლებლობას გვაძლევს. რა თქმა უნდა, მეც გახარებული ვარ ბათუმში ჩატარებული მსოფ-




ლიო თასის შეჯიბრების დონით. ნამდვილად დიდი ზეიმი იყო, კარგად ორგანიზებული, - გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ბაზაძემ.

იხ. მე-7 გვ.

# ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალური ასამბლეა – ბათუმში

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*აჭარამ ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეასა და სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. 10 ევროპული ქვეყნიდან, სოფლად ტურიზმის განვითარების საინტერესო კონცეფციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 150 წარმომადგენელი გაეცნო*




კონფერენციის მონაწილეებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე მიესალმა. მან ყურადღება გაამახვილა აჭარაში სოფლის ტურიზმის მნიშვნელობასა და როლზე სოფლის განვითარებაში. ასევე, ისაუბრა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, რომელიც ხელს უწყობს სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის შემოსავლების ზრდას.

ღონისძიებაზე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსმა კარლო კეკელიძემ წარადგინა მთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის ტურიზმის მხარდამჭერის პროექტები, სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარება, არსებული რეალობა, შესაძლებლობები და გამოწვევები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ტურისტული პროდუქტი, წარმატებული ისტორიები სოფლად, სათავგადასავლო ტურიზმი და ციფრული ტექნოლოგიები - ეს ის ძირითადი თემებია, რომლებზეც კონფერენციაზე იმსჯელეს.

ღონისძიებაზე, რომელსაც 10-მდე ევროპული ქვეყნის ტურიზმის ექსპერტი ესწრებოდა, სოფლის ტურიზმის მიმართულებით ევროპული ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილებაზე ისაუბრეს. კონფერენციის ქართველი მონაწილეების გამოცდილება საინტერესო აღმოჩნდა უცხოელი ექსპერტებისთვის.

ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალური ასამბლეა ბათუმში წელს პირველად ჩატარდა, სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას კი ბათუმმა მეოთხედ უმასპინძლა.



## ადმინისტრაციულ ერთეულს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს 2

## რომელი მწვავე პრობლემების გადასაჭრელად აპირებენ მუშაობას ახალგაზრდები? 4



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.


დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ადმინისტრაციულ ერთეულს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*შუახევის მუნიციპალიტეტში ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეული მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზეა. წლების განმავლობაში ამ სტრუქტურულ ერთეულს წარმატებით უძღვებოდა ივერი კაკალაძე. იგი სხვა პოზიციაზე დაწინაურდა. ვაკანტურ თანამდებობაზე შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არჩევანი ნიგაზეულის საჯარო სკოლის პედაგოგ ბიჭიკო ხიმშიაშვილზე გააკეთა*

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ალიკო კეკელიძემ ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას ახალი ხელმძღვანელი წარუდგინეს.



აღინიშნა, რომ აქ ბოლო დროს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ძვრებია, თუმცა გასაკეთებელიც საკმაოა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა დამსწრეთ მიმდინარე წლის პროგრამები, ნიგაზეულში, ნენიაში, ბუთურაულსა და ფურტიოში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნეს. ბიჭიკო ხიმშიაშვილს მოუწოდეს, მოსახლეობის მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად წარმართოს მუშაობა.

- წელს გაგრძელდება სოფლებში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია, მოსაცდელების მშენებლობა, გარე განათების ქსელის მოწყობა, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სარწყავი არხების რეაბილიტაცია. განხორციელდება ფურტიოს ბაგა-ბაღის შენობის გამაგრების სამუშაოები, თემში არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში განახლდება ინვენტარი და კეთილმოეწყობა სოფელ ნიგაზეულის ცენტრი,- გვითხრა ომარ ტაკიძემ.

# „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციამ ერთწლიანი მუშაობა შეაჯამა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

***წლიური ანგარიში „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ნინო წილოსანმა წარადგინა.***

ორგანიზაციის გამგეობასა და რეგიონული საბჭოების ხელმძღვანელებს სიტყვით მიმართეს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ და აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.



„პარტიის ქალთა ორგანიზაციის ერთწლიანი ინტენსიური სამუშაო შეჯამდა, ანგარიში ჩავაბარეთ ორგანიზაციის საბჭოს და გამგეობის წევრებს, პარტიის თავმჯდომარესა და აღმასრულებელ მდივანს. შევაჯამეთ ორგანიზაციის მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა შორისაა „ფემ ტექ ფესტივალი“, „ვარდისფერი ოქტომბერი“, 16-დღიანი კამპანია ძალადობის წინააღმდეგ, სხვადასხვა შეხვედრა, ტრენინგები, სტრუქტურის ფორმირება და სხვა. რაც მთავარია, ერთი წლის მუშაობის ძირითადი ხაზი და მიზანი, რისთვისაც ქალთა ორგანიზაცია დაფუძნდა, იყო ქალების ხმა პარტიაში, ჩვენი პარტიის წევრ ქალებთან აქტიური კომუნიკაცია და ქალ ამომრჩეველთა ინტერესების დაცვა“, - განაცხადა ნინო წილოსანმა.

გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრეს თბილისის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, აჭარის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონული საბჭოების ხელმძღვანელებმა.

# კონფერენცია «ჩვენი სულიერების ბალავარი» და «დიდაჭარობა»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ტრადიციულად, ყოველი წლის 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ხულოს მუნიციპალიტეტში «დიდაჭარობას» აღნიშნავენ - მოციქული ანდრია პირველწოდებული სწორედ დიდაჭარიდან შემოვიდა საქართველოში და ქრისტიანობა იქადაგა. ღონისძიების ფარგლებში იმართება სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული სტუმრები. ასე იყო წელსაც. სწორედ წლევანდელ «დიდაჭარობას» დაამთხვიეს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ «ბათუმის კულტურის ცენტრის» მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «ჩვენი სულიერების ბალავარი». მისი წამომწყებია აწ განსვენებული პროფესორი მათე (ბიჭიკო) დიასამიძე. კონფერენციაზე 20-მდე მოხსენება იყო წარმოდგენილი. იმ სხდომაზე, რომელსაც რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ნიკოლაი ვ. დურა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი ფიქრია ჭანტურია თავმჯდომარეობდნენ, 14 მოხსენება წაიკითხეს. ეს ცნობილი ქართველოლოგის, პოლიტიკური მოღვაწის, აწ განსვენებული ტარიელ ფუტკარაძის დაბადებიდან 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სექცია იყო.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორმა, ხიჭაურის უნივერსიტეტის პროფესორმა როინ მალაყმაძემ სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი «დიდაჭარობაზე» მოიპატიჟა. მათ მოილოცეს ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი, სადაც წირვა-ლოცვას მეუფე სპირიდონი და სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურები აღავლენდნენ. დაბა ხულოს ცენტრში სამონასტრო კომპლექსის კურთხევის შემდეგ, «დიდაჭარობისადმი» მიძღვნილი წირვა-ლოცვანი აქ აღევლინება. წინა წლების მსგავსად, წელსაც მრევლი საკმაო იყო. მათთან ერთად ტაძარში იყვნენ: პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერები როლანდ ბერიძე, ომარ ტაკიძე, ვახტანგ ბერიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე.



წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ კომენტარი როინ მალაყმაძეს ვთხოვეთ: «ამ სამონასტრო კომპლექსის კურთხევის დღიდან საღვთო დღესასწაულებზე აქ ვლოცულობთ. ჩვენ მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემობრძანების დღეს მიეძღვნა. კონფერენციაზე ნიკოლაი ვ. დურას კემბრიჯისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორის სარა სლაის, ტარიელ ფუტკარაძის ქალიშვილის ნათია ფუტკარაძის მონაწილეობა დიდად დასაფასებელია. გვინდა ვესტუმროთ დიდაჭარასა და სხალთის მონასტერს. ეს წმინდა ადგილები კონფერენციის უცხოელ და ქართველ მონაწილეებს წარმოდგენას მისცემს ჩვენ წარსულ დიდებაზე. გეტყვით, რომ პროფესორ მათე (ბიჭიკო) დიასამიძის წამოწყებული საერთო და საღვთო საქმე ახალ-ახალი შენაძენით მდიდრდება».

- თითოეული მართლმადიდებლის ვალია ნახოს,მოილოცოს, პატივი მიაგოს დიდაჭარას. ჩვენმა წინაპრებმა მრავალი საამაყო ფურცელი ჩაწერეს ქვეყნის ისტორიაში, მრავალი ზვარაკად შეეწირა მამულის, ქრისტიანობის, მშობლიური ქართული ენის დაცვას. უფალი ჩვენთანაა. მან დალოცოს და დაიცვას სრულიად საქართველო, - გვითხრა ქედის მერმა როლანდ ბერიძემ.

იხ. მე-6 გვ.

## შაბათ-კვირის ქრონიკა

არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან ერთად, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის **(KfW)** აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონულ დირექტორს ვერონიკა გარსია დელ არკოს შეხვდა. შეხვედრაზე **KfW**-ის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს და განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. გამოითქვა მზადყოფნა მდგრადი ურბანული მობილობის ახალი პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის 15 მილიონი ევროს შეღავათიანი სესხის გამოყოფა. პროექტი მოიცავს ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარებას, ველო და ქვეითთა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. შეიქმნება მართვის ცენტრი, რომელიც გააერთიანებს საგზაო სენსორულ აღჭურვილობასა და ნაკადების მართვის ტექნოლოგიას. მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის V ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

* * *

„24 ნაბიჯი წარმატებული სტარტაპის შესაქმნელად“ - ამ სახელწოდებით პრაქტიკული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის ტექნოპარკში. ნაშრომი დამწყებ მეწარმეებზე არის გათვლილი და წარმატებული სტარტაპის შექმნის საფუძვლებს წარმოადგენს. შეხვედრაზე ლექტორებმა და წარმატებულმა სტარტაპერებმა გამოცდილება დამწყებ სტარტაპერებს გაუზიარეს. საუბარი შეეხო ბიზნესის წამოწყებასა და მეწარმეობის ძირითად პრინციპებს. სახელმძღვანელოს პრეზენტაცია ჯიტა-ს ახალი პროექტის - „ნაბიჯები“ ფარგლებში გაიმართა.

* * *

ბათუმში ახალი პროექტი „უკრაინელი ქალებისა და გოგონების ინტეგრირება და გაძლიერება“ დაიწყო. პირველი შეკრება ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. სპეციალისტებმა არტ და ფსიქოთერაპიები ჩაატარეს. დაგეგმილია გასვლითი ტურები, ქართული სამზარეულოს მასტერკლასები და რეგიონის ისტორიის გაცნობა. პროექტი ამერიკის საელჩოს საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია. პროგრამა „სონიაშნიკის“ ფარგლებში, ორი საინიციატივო ჯგუფი დაფინანსდა. ისინი მომდევნო ერთი თვის განმავლობაში 60-მდე უკრაინელ ქალს სხვადასხვა აქტივობას შესთავაზებენ, რომლის მთავარი მიზანი მათი მხარდაჭერა და საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზებაა.

**მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ**

# საუკუნოვანი იუბილე მიულოცეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძესთან ერთად, 56-წლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგსა და ომის ვეტერან ქეთევან ლორიას 100 წლის იუბილე მიულოცა.

„აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ფარგლებში, ქეთევან ლორიას 1000 ლარი გადაეცა. სამინისტროს აღნიშნული პროგრამით მიმდინარე - 2023 წელს აჭარაში მცხოვრები 100 წელს გადაცილებული 50 მოქალაქე ისარგებლებს.

ამ დროისთვის აჭარის რეგიონში ყველაზე უხუცესი ქალბატონი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 108 წლის ფატყუმე დიასამიძეა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.



**ამირან გურიელიძე**

# „ყველა პროდასავლურმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა იზრუნოს საკუთარი ელექტორატის შენარჩუნებისათვის“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*საქართველოს განვითარებას მნიშვნელოვნად რომ განაპირობებს სტაბილური პოლიტიკური გარემო, ეფექტური საშინაო პოლიტიკა, პოლიტიკური სპექტრის სახელმწიფოებრივი მიდგომები და დასავლეთის მხარდაჭერა, არახალია. ამ მიმართებით, სამწუხაროდ, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა: ოპოზიცია მმართველ პარტიას ადანაშაულებს ქვეყნის ინტერესების შელახვაში, ხელისუფლება ოპოზიციურ სპექტრს მოღალატეებად აცხადებს და ეს რეალობა უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება, რადგან პარტიები არაოფიციალურად ემზადებიან სამომავლო არჩევნებისთვის. ჩვენთან ხომ არჩევნები ურთიერთდაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს... გარდა ამისა, საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე აქტიურობს როგორც რუსეთი, ისე დასავლეთი. ჩვენი ქვეყანა ელოდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს. კონკრეტულად, რა პრეტენზია აქვს ოპოზიციას მმართველი გუნდის მიმართ, რა გადაადგილებებია ოპოზიციურ ფლანგზე, რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის ფორმირება? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „აჭარასთან“ პარტიის - „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი* ***გენო თებიძე*** *საუბრობს.*

**- როგორია თქვენი აზრი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?**

- ჩვენს ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ყველაზე მეტად თვალში გვხვდება შიში, ნიჰილიზმი და უიმედობა. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს დღევანდელი დღით და სტრატეგია, ფაქტობრივად, უცხო ხილია მისი სამომავლო გეგმებისთვის. ბიძინა ივანიშვილს და მის „რუსულ ოცნებას“ მინდა მივულოცო - რაც სურდათ, წარმატებით გაართვეს თავი.

**- რას გულისხმობთ?**

- იმას, რომ მისი ოცნებაა, ქვეყანას არ ჰქონდეს მთავარი მიზანი - ევროატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანება.

**- თქვენ უარყოფითად აფასებთ ხელისუფლების საქმიანობას, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება და ოპოზიციის ბრალდებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით უსაფუძვლოა...**

- დღეს ვაკვირდებით, რამდენად შორსაა ხელისუფლება რეალობისგან. გარდა ამისა, ვხედავთ იმასაც, რომ მმართველი პარტია საკუთარი პროპაგანდისტული „იარაღით“ როგორ ლამობს მოსახლეობის მღელვარების შეჩერებას, თესავს ნიჰილიზმს და ცდილობს, აუხსნას მოსახლეობას, რომ ევროპა და ამერიკა ცუდია და უკრაინა თავად არის დამნაშავე. ამავე დროს ახმოვანებენ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს: ოპოზიცია ხალხის და ქვეყნის მტერია, ვინც განსხვავებულად აზროვნებს, „ნაცია“, „ქართველობას გვართმევენ“ და ა.შ.

**- ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ ისინი არ ლანძღავენ დასავლეთს, არამართებულ გამონათქვამებზე სახელმწიფოებრივად რეაგირებენ...**

- ხელისუფლების წარმომადგენლები ბევრ რამეს ამბობენ, მათი ნდობა არ შეიძლება. ედუარდ შევარდნაძის და ასლან აბაშიძის მმართველობის დროს არ ყოფილა ასეთი შტურმი ჩვენს მოკავშირეებზე, რაც ახლა ხდება. არადა, თავად მათი შვილები, ოჯახის წევრები განათლებას უცხოეთში იღებენ, აქ ეწყობიან საჯარო სამსახურში, დაკავებული არიან ბიზნესით და უდიდესი კომფორტი შეიქმნეს ჩვენს ხარჯზე... მაგრამ ეს ხომ მათთვის კანონზომიერია და ამაშიც ჩვენს, ოპოზიციის ბრალეულობას ხედავენ. ვერ შევძელით რუსული მენტალობის ხელისუფლების ჩანაცვლება კოალიციური მთავრობით, რაც ერთადერთ გამოსავლად გვესახება პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებს.

**- ოპოზიციის მისამართით უკმაყოფილებას ექსპერტებიც გამოხატავენ, მაგალითად, ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, რომ ოპოზიცია, ძირითადად, ურთიერთდაპირისპირების რეჟიმშია და მოსახლეობასაც დაშორდა, როგორც ხელისუფლება. თქვენი აზრი ამის შესახებ?**

- ქალბატონ ხათუნას ძალიან დიდ პატივს ვცემ და ბევრ რამეში ვეთანხმები. ის ოპოზიციური მოცემულობა და რესურსი გააჩნია ქვეყანას, რასაც ვხედავთ. საზოგადოებას ვეტყოდი: კარგი, ბატონებო, გამოჩნდით უკეთესები, გარწმუნებთ, ყველა ოპოზიციური პარტიის კარები ღიაა თქვენთვის. რას ელოდებით? მობრძანდით! დღეს, დიდი მასშტაბით ხდება ოპოზიციის გამარგინალება. ის იმისტია, ეს ამისტია, ან კიდევ - ქვეყანაში ტრადიციების, ქრისტიანობის და „ქართველობის“ მოწინააღმდეგე... სასაცილოა, მაგრამ ძალიან დამაფიქრებელი. საკუთარ სამზარეულოში რომ ზიხარ და ქვეყნის ტკივილს იქ განიხილავ, ეს არ არის საკმარისი, გამოდით. დადექით ჩვენ გვერდით და ნახავთ, როგორ დაიხევენ უკან ეს კრემლის მეხოტბეები.

**- ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ოპოზიციის რეიტინგი შემცირებულია, რასაც ემატება ბრალდებები ერთმანეთის მიმართ... თქვენი აზრით, დღესდღეობით ოპოზიცია რა სტადიაშია?**

- სტატისტიკა იმაზე უკეთესია, ვიდრე 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს. მაშინ ოპოზიციამ 19-ით 16 მოუგო ბათუმის საკრებულოში „ქართულ ოცნებას“, თუმცა ბოლოს ხელების გადაგრეხით მიაღწიეს საწადელს, ვილაც გადაიბირეს, მაჟორიტარ ნუგზარ ფუტკარაძის სიცოცხლე შეეწირა ამ ყველაფერს და ჩვენ დაგვტოვეს წინასწარ დაანონსებული შედეგების ამარა (კობახიძე ჯიუტად ამტკიცებდა წაგების მიუხედავად, რომ მმართველი პარტია იქნებოდა უმრავლესობაში). ამიერიდან ეს აღარ გაუვათ, ხალხი არ დაუშვებს.

**- თქვენმა პარტიამ უკვე წამოაყენა „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე ოპოზიციური ერთობის იდეა. შეძლებთ მესამე ცენტრის შექმნას?**

- ყველა პროდასავლურმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა იზრუნოს საკუთარი ელექტორატის შენარჩუნებისათვის და ამ აზრს მყარად ვუჭერ მხარს. ვიმოქმედებთ ისე, რომ ამ ქვეყანას ჩამოვაცილოთ მავნებელი ხელისუფლება.

**- რას იტყვით „ნაცმოძრაობაში“ შექმნილ მდგომარეობაზე? ამბობენ, რომ შესაძლოა პარტია ორ ნაწილად დაიყოს...**

- ყველა პოლიტიკური პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი და იქ მიმდინარე პროცესი ბუნებრივია. ჩვენთვის უმთავრესია ჩვენი პარტიის გაძლიერება. „ნაცმოძრაობა“ იქნება თუ სხვა რომელიმე პოლიტიკური პარტია, ვფიქრობ, უჩვენოდაც ძალებს არ დაიშურებენ შიდა ურთიერთობების დასალაგებლად. მე მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ ყველა პროდასავლურ პარტიას.

**- პრაქტიკულად, მმართველი პარტია არაოფიციალურად ჩაება საარჩევნო მარათონში, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ექსპერტები. ოპოზიციური პარტიები რატომ არიან ინერტულნი?**

- 300 მილიონზე მეტი ბიუჯეტი დაუმტკიცდა ბათუმს. ეს კარგია, მაგრამ სად იყვნენ ათ წელზე მეტხანს! მანამდეც ხომ შეიძლებოდა ბიუჯეტის ზრდა, მასობრივი სამუშაოების ჩატარება და ბათუმზე ზრუნვა?! შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ მმართველი პარტია ყოველ თვე ისეთი სურათის შექმნას ცდილობს, რითაც გამოჩნდება, როგორ შრომობენ ქვეყნისთვის. პირადად მე მათ ვურჩევ: ცნობილი 12 პუნქტი შეასრულონ, რათა ქვეყანას ევროპული მომავალი არ დაუკარგონ. ნუ აგინებენ ჩვენს პარტნიორებს, ნუ ლანძღავენ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ უკრაინას და მის ხელისუფლებას, დაეხმარონ უკრაინიდან დევნილ მოქალაქეებს და რაც მთავარია, ჩაატარონ დემოკრატიული, ევროპული ყაიდის არჩევნები.

**- როგორც ცნობილია, საარჩევნო ბარიერი ხუთი პროცენტია, რამდენი პარტია შეძლებს ამ ბარიერის გადალახვას, მოსალოდნელია თუ არა კოალიციური მთავრობის შექმნა?**

- „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რაც უფრო აწევს ბარიერს, ხელისუფლებაში დარჩენის მეტი შანსი ექნება. ჩვენ გადავლახავთ საარჩევნო ბარიერს და უპირობოდ დავასრულებთ ამ უნიათო ხელისუფლებას და იქნება კოალიციური მთავრობა.

**- ვხედავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მმართველ გუნდს დროდადრო აკრიტიკებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. ეს რისი მანიშნებელია?**

- სალომე ზურაბიშვილის „მეორე სუნთქვა“ თვალსაჩინოა. მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ მეტი სითამამე და მეტი გამბედაობა გამოიჩინოს. ჩვენმა პარტიამ პრეზიდენტს თანამშრომლობა შესთავაზა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ. რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის გააუქმა სავიზო რეჟიმი და აღადგინა საჰაერო მიმოსვლაც. ეს, გარკვეულწილად, კანდიდატის სტატუსის მინიჭების ჩასაშლელად ხომ არ გაკეთდა?**

- რუსეთს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ არასოდეს მიუღია რაიმე სახის გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ეს არის მმართველი პარტიის და პუტინის ერთობლივი საბოტაჟი ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ.

**- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ სახელმწიფო სანქცირებული ავიაკომპანიების შემოსვლას ქვეყანაში არ დაუშვებს.**

- მე მხოლოდ მივესალმები იმ გადაწყვეტილებებს და შედეგს, რაც ამ ქვეყანას წაადგება. 2012 წლიდან ამ დღეში ჩაგვაგდეს და დარჩენილ მცირე დროში რისი მომსწრებნი არიან, არ ვიცი. არა მგონია, სურვილი ჰქონდეთ... ერთი კაცის შემყურე ხელისუფლებაა და ვეჭვობ, მათი ინიციატივა ამ ადამიანს აინტერესებდეს.

**- დაბოლოს, ყველა ელოდება უკრაინის კონტრშეტევას, რა შესაძლებლობას უსახავს რუსეთის დამარცხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს?**

- უკრაინა მოიგებს ამ ომს! უკრაინის მოგება ნიშნავს სრულ თავისუფლებას, ახალ გამოწვევებს, ახალ შესაძლებლობებს, ჩვენი ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობას და მომავალ სიძლიერეს. მადლობა ჩვენს ბიჭებს, თითოეულს, ვინც იბრძვის უკრაინაში, უნდა ვიამაყოთ მათით. არ უნდა დავივიწყოთ დაღუპული ბიჭები, რომლებიც დაეცნენ უკრაინაში, არ უნდა დავიღალოთ, უნდა დავეხმაროთ უკრაინას, როგორც შეგვიძლია. დიდება საქართველოს! დიდება უკრაინას!

> ***„ის ოპოზიციური მოცემულობა და რესურსი გააჩნია ქვეყანას, რასაც ვხედავთ. საზოგადოებას ვეტყოდი: კარგი, ბატონებო, გამოჩნდით უკეთესები, გარწმუნებთ, ყველა ოპოზიციური პარტიის კარები ღიაა თქვენთვის***

## „მოსკოვის გადასაწყვეტი არაა, უკრაინას რისი გაკეთება შეუძლია“

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა „კოპენჰაგენის დემოკრატიის სამიტზე“ განაცხადა, რომ ახლა ნატოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანა უკრაინის გამარჯვების უზრუნველყოფაა, რათა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა არ მოიგოს ეს ომი. აქვე ისიც აღნიშნა, რომ ალიანსის ამოცანას წარმოადგენს ამ ომის უკრაინის ფარგლებს გარეთ ესკალაციის თავიდან აცილება.

„ჩვენ არ ვიცით, როგორ დასრულდება ეს ომი, თუმცა რაც ვიცით, ისაა, რომ როდესაც ის დასრულდება, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევძლოთ თავიდან ავიცილოთ ისტორიის განმეორება“, - განაცხადა ალიანსის ხელმძღვანელმა.

უკრაინის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უკრაინას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი გზა, რაზეც ყველა მოკავშირე თანხმდება.

„მოსკოვის გადასაწყვეტი არაა, უკრაინას რისი გაკეთება შეუძლია“, - დასძინა იენს სტოლტენბერგმა.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

თურქეთში 14 მაისს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. წინასწარი შედეგებით, პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში 50%-იანი ბარიერი ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა, შესაბამისად, 28 მაისს არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ხმების 99 პროცენტზე მეტის დათვლის შემდეგ, რეჯეფ თაიფ ერდოღანის შედეგი 49.42 პროცენტია, ქემალ ქილიჩდაროღლუმ კი - 44.95% მიიღო. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, მასში მმართველი პარტიის საარჩევნო ბლოკი „რესპუბლიკის ალიანსი“ ლიდერობს.

* * *

15 მაისიდან ამოქმედდა რუსული ავიაკომპანიებისთვის საქართველოში ფრენებზე აკრძალვის მოხსნისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განკარგულებები, რომლებსაც მან ხელი 10 მაისს მოაწერა. შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა რუსეთის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება, რომელიც რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენას უკრძალავდა. რაც შეეხება სავიზო რეჟიმის გაუქმებას, განკარგულების თანახმად, ვიზის გარეშე რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება საქართველოს მოქალაქეებს 90 დღემდე ვადით ექნებათ.

* * *

ისრაელსა და „ისლამური ჯიჰადის“ დაჯგუფებას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამოქმედდა. ზავს მხარეებმა ეგვიპტის შუამავლობით მიაღწიეს. ისინი შეთანხმდნენ, შეწყვიტონ თავდასხმები მშვიდობიან მოქალაქეებსა და საცხოვრებელ სახლებზე. ბოლო ერთ კვირაში ისრაელმა ღაზის სექტორზე რამდენიმე საჰაერო დარტყმა განახორციელა, რის პასუხადაც „ისლამურმა ჯიჰადმა“ ისრაელის მიმართულებით ათასზე მეტი რაკეტა გაუშვა. შედეგად, ბოლო ოთხ დღეში 33 პალესტინელი დაიღუპა, მათ შორის ექვსი მცირეწლოვანი. 150-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

* * *

პორტუგალიის პარლამენტმა ევთანაზიის ლეგალიზაციის კანონპროექტი მიიღო. მიმდინარე წლის შემოდგომიდან, 18 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები ევთანაზიის ჩატარებას შეძლებენ, თუ უკურნებელი დაავადების გამო იტანჯებიან ან ხანგრძლივი და აუტანელი ტკივილი აწუხებთ. კანონს ქვეყნის „კონსერვატორი“ პრეზიდენტი ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც პარლამენტმა ევთანაზიის ლეგალიზება სამი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა. კანონის საბოლოო ვერსია მმართველი „სოციალისტური პარტიის“ მხარდაჭერით მიიღეს. ევთანაზიის ჩატარებას პორტუგალიაში ჩასული უცხოელი ტურისტები ვერ შეძლებენ.

* * *

გაეროს კვლევით, 2022 წელს შიმშილის ზღვარზე მყოფ ადამიანთა რიცხვი 65 მილიონით გაიზარდა და 58 ქვეყანაში 258 მილიონს მიაღწია, რაც ბოლო 7 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მთავარ მიზეზებად ომები, ექსტრემალური ამინდი და პანდემიის შედეგები სახელდება. ყველაზე ცუდი ვითარებაა სომალიში, ავღანეთში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სუდანსა და იემენში, სადაც შიმშილისგან გარდაცვალება 38 მილიონ ადამიანს ემუქრება. შიმშილის ზღვარზე მყოფთა შორის 5 წლამდე ასაკის 35 მილიონი ბავშვია.

**მოამზადა ია შველიძე**

# რომელი მწვავე პრობლემების გადასაჭრელად აპირებენ მუშაობას ახალგაზრდები?

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*ქალაქ ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო შარშან შეუდგა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას, როდესაც პირველი სხდომა ჩატარდა. თავდაპირველად საბჭოს წევრები გადამზადდნენ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: სამოქალაქო აქტივიზმი, მეწარმეობა, ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, გუნდური მუშაობა, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობა, ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების გზები, ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა და სხვა*



*სათათბირო ორგანოს გაძლიერებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ზაფხულში, გასვლით ბანაკებში ტარდებოდა ტრენინგები, რომელშიც, სხვა მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული საბჭოების წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ ბათუმის სათათბირო ორგანოს წევრებიც. შარშან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ, ბათუმის თავისუფალ ჟურნალისტთა სახლსა და განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან. ახალგაზრდულმა საბჭომ დაიწყო აქტივობებისა და პროექტების დაგეგმვა-განხორციელება ბათუმელი ახალგაზრდებისთვის, შეიქმნა ფეისბუქგვერდი, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერილია კვარტალურად.*

*ახალგაზრდების განვითარებისა და მათი რეალიზების ხელშეწყობაზე გვესაუბრა ქალაქ ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე* ***ალექსანდრე აბუსელიძე.*** *ის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის მე-2 კურსის სტუდენტი და ბათუმის საკრებულოსთან არსებული გენდერული საბჭოს წევრია. 2018-2019 წლებში იყო ფორუმ „გაეროს ასამბლეის" ლიდერი დელეგატი. გაიარა საკვალიფიკაციო ტრენინგები ბრიუსელის BXL აკადემიასა და პრაღაში - ლონდონის ინსტიტუტში 2019 და 2022 წლებში. არის არაერთი ახალგაზრდული პროექტის ავტორი და ორგანიზატორი.*

**- რა არის თქვენი - საბჭოს თავმჯდომარის მისია?**

- ჩემი მისიაა, ვიყო დამაკავშირებელი „ხიდი" ახალგაზრდებსა და აღმასრულებელ ორგანოს შორის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ხელი შევუწყო მათი უნარ-ჩვევების განვითარებაში. მიხარია, როდესაც ვხედავ მეტ წარმატებულ და განვითარებულ ახალგაზრდას, აქედან გამომდინარე, ვარ და ვიქნები ჩვენი მომავალი თაობის გვერდით.

**- რა არის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მიზანი?**

- ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა, მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ხელი შევეწყოთ უნარ-ჩვევების განვითარებაში, მივცეთ შესაძლებლობა, გამოავლინონ საკუთარი თავი, დავეხმაროთ პროექტების, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. საბჭოს მიზანია, ასევე, ახალგაზრდების ინფორმირება მიმდინარე პროგრამებისა და სიახლეების შესახებ, მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა, წინადადებების შემუშავება და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გაზიარება, ქალაქ ბათუმის მერისთვის ინფორმაციის მიწოდება, საკუთარ რეკომენდაციებთან ერთად.

**- მრჩეველთა საბჭოს წევრები რამდენად იყავით ჩართულნი ახალგაზრდული პრიორიტეტების 2023-2026 წლების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაში?**

- მრჩეველთა საბჭოს წევრები ვმონაწილეობდით ამ დოკუმენტის შემუშავებაში. ასევე, არაერთი შეთავაზება წარვადგინეთ და ჩვენი ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული. მრჩევლები რეგულარულად ვესწრებოდით და ამ დრომდე ვესწრებით საკრებულოს და კომისიების სხდომებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით.

**- გაქვთ თუ არა ერთობლივი ინიციატივა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოსა და სხვა უწყების წარმომადგენლებს?**

- რა თქმა უნდა, გვაქვს. საბჭომ, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივაც, რომლებიც წარვუდგინეთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის უფროსებს და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებს, ყველამ გამოთქვა მზაობა ინიციატივების მხარდასაჭერად. მაგალითად, ერთ-ერთი ინიციატივაა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პროექტების განსახორციელებლად, მიეცეს გრანტის გაცემის უფლება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისთვის. კონსულტაციები გაიმართა ბატონ ლადო მგალობლიშვილთან. გამოითქვა სურვილი უმაღლესი საბჭოს მიერ, აღნიშნული საკითხის შესწავლისა და შემდგომი ინიცირების თაობაზე.

**- თქვენი გუნდი თუ მუშაობს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით?**

- რა თქმა უნდა, რადგან 2022 წელს ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის შედეგმა გვაჩვენა, რომ დახურული ტიპის სპორტული დარბაზების მშენებლობა წარმოადგენს გამოწვევას. ბათუმში, ამ ტიპის არსებულ დარბაზებს, მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, ზოგადი მონაცემებით, შეუძლია - არა უმეტეს 7 ათასი ახალგაზრდის მიღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო ახალგაზრდების საერთო რაოდენობა 38-40 ათასს შეადგენს, ამას დაუმატეთ კერძო და საჯარო სპორტული კლუბები და მათი პრობლემები ინფრასტრუქტურის გამოძებნასთან მიმართებაში, ადვილი მისახვედრია, რომ გამოწვევა სერიოზულია და ითხოვს სწრაფ რეაგირებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, დროულად განხორციელდეს დახურული ტიპის სპორტული დარბაზების მშენებლობა. კერძოდ, მერიამ ბიუჯეტში (ყოველწლიურად) გაითვალისწინოს მინიმუმ ერთი, სასურველია, დახურული ტიპის 2 სპორტული დარბაზის მშენებლობის დაფინანსება, რაც საშუალებას მისცემს ბათუმის მერიას 5 წელიწადში, თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, ხელმისაწვდომი გახადოს და უზრუნველყოს როგორც მასობრივი სპორტის, ისე სხვადასხვა სპორტის სახეობის განვითარება. ამ საკითხზე კონსულტაციები გაიმართა ბატონ თენგიზ აფხაზავასთან და ლევან ცხოიძესთან. შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან გრძელდება.

**- ვის ეკუთვნის ინიციატივა „ველოსიპედების დღე"?**

- აღნიშნული ინიციატივა საბჭოს მიაწოდა ბათუმის კერძო სკოლა „ნიკეს" მოსწავლეთა ჯგუფმა. მათ სურთ, ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, ქალაქში ყოველი კვირა იყოს „ველოდღე" და ამ დღის განმავლობაში რაც შეიძლება ნაკლებმა პირმა გამოიყენოს ავტომობილები, გადაადგილდნენ საკუთარი ან, მაგალითად, „ბათუმველოს" ველოსიპედით. საინიციატივო ჯგუფი შეხვდა ბატონ ლადო მგალობლიშვილს - უმაღლეს საბჭოში, ბატონ თენგიზ აფხაზავას და ბატონ ლევან ცხოიძეს - საკრებულოში, ასევე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაიწერა შესაბამისი პროექტი, რომელიც დაფინანსდა ბათუმის მერიის მიერ. პროექტი მოიცავს 3 ეტაპს: ველომარათონი, ტრენინგები ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვისა და გარემოს დაცვის აუცილებლობის შესახებ და ბოლოს - საინფორმაციო კამპანია საზოგადოებაში.

**- როგორც ვიცით, სატრანსპორტო პოლიტიკაზეც აქტიურად მუშაობთ...**

- დიახ, რადგან ტრანსპორტის გადაადგილების თვალსაზრისით რთული მდგომარეობა იქმნება „პიკის საათებში" (განსაკუთრებით - უამინდობის დროს), რაც, ძირითადად, გამოწვეულია 3 უმნიშვნელოვანესი სექტორის სამიზნე აუდიტორიის ფუნქციონირებასთან: მუნიციპალური/კერძო ბაღები - აუდიტორია ±8 500 აღსაზრდელის ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლები - აუდიტორია ±32 000 მოსწავლის ფარგლებში და საჯარო სამსახურები ან კერძო სექტორი - აუდიტორია ±45 000 დასაქმებულის ფარგლებში. „პიკის საათებში" ±60 000 ადამიანი (მეტ-ნაკლებად) ერთდროულად გადაადგილდება ქალაქში, რაც ქმნის საცობებს და საზოგადოებაში იწვევს სერიოზულ პრობლემებს, სოციალურ უკმაყოფილებას. ფაქტია და აუცილებელი, რომ უნდა მოხდეს „დინების" განტვირთვა, კერძოდ: ±60 000 ადამიანის ერთდროულად გადაადგილების დარეგულირება, გადანაწილება, მინიმუმ 30-წუთიანი ინტერვალებით მაინც, რამაც უნდა გააუმჯობესოს მოძრაობის მართვა-მოწესრიგება სწორედ ამ დროის მონაკვეთში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესწავლილ-გამოკვლეულ იქნეს, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ამ 3 აუდიტორიას შორის (ბაღები, სკოლები, საჯარო თუ კერძო სექტორი) გამოცხადება-დაწყება-დასრულების საათების შერჩევა-განსაზღვრა. ამან უნდა იქონიოს გავლენა და საგრძნობლად განმუხტოს მოძრაობის სიხშირე. მაგალითად, პირველ რიგში - სკოლა, მეორე რიგში - ბაღი და ბოლოს საჯარო სექტორი (30 წუთის ინტერვალით).

> ***„თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო ახალგაზრდების საერთო რაოდენობა 38-40 ათასს შეადგენს, ამას დაუმატეთ კერძო და საჯარო სპორტული კლუბები და მათი პრობლემები ინფრასტრუქტურის გამოძებნასთან მიმართებაში, ადვილი მისახვედრია, რომ გამოწვევა სერიოზულია და ითხოვს სწრაფ რეაგირებას***

**- რა შესაძლებლობებს მისცემს ახალგაზრდებს მულტიფუნქციური ჰაბის შექმნა?**

- ტერიტორია, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებული იქნება სპორტული მინიდარბაზი, ბიბლიოთეკა, ტექნოლოგიების ოთახი, თავისუფალი სივრცე, კინო-ოთახი, სამაგიდე თამაშების ოთახი, კონფერენს-მინიდარბაზი და კვების ობიექტი, ვფიქრობ, ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას, ერთ სივრცეში გაიცნონ ერთმანეთი, დაგეგმონ ნებისმიერი სახის პროექტი-აქტივობა, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები...

**- რას გვეტყვით საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და პროექტებზე?**

- მიმდინარეობს შეხვედრები სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან. საბჭოს წევრები 6 თვის განმავლობაში შეხვდნენ ბათუმის 20-მდე სკოლის მოსწავლეებს, გააცნეს მათ საბჭოს ინიციატივები და ახალგაზრდული პროექტები, რომელიც ქალაქის მასშტაბით ხორციელდება ბათუმის მერიის მიერ, მოისმინეს შემოთავაზებული იდეები და გაითვალისწინეს მათი ყველა თხოვნა. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო ეტაპობრივად ყველა სკოლას მოივლის და ჩართავს ახალგაზრდებს სხვადასხვა აქტივობაში. განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი ვიზიტები ბათუმის მუზეუმებში, აღნიშნული პროგრამის მხარდამჭერი გახლდათ „აჭარის მუზეუმების გაერთიანება". მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის აუცილებლობაზე ცოდნის გასაღრმავებლად და ცნობადობის ამაღლების მიზნით, ბათუმის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ორგანიზებით, შეხვედრები გაიმართა ბათუმის საკრებულოში, რომელსაც ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები ესწრებოდნენ. ახალგაზრდებს თვითმმართველობის ისტორია და მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკა საკრებულოს თავმჯდომარემ გააცნო, საკრებულოს წევრებმა კი ახალგაზრდების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს და დეტალურად გააცნეს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტებისა და სტიპენდიების შესახებ, რომელიც ქალაქის ბიუჯეტშია გათვალისწინებული. სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, მრჩეველთა საბჭომ, ბათუმის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, განახორციელა ორი პროექტი: „ფეხბურთის ლიგა 2022", სადაც ფეხბურთის ჩემპიონატში მონაწილეობდა 50 ახალგაზრდა და გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ, ასევე, 2023 წლის 23 აპრილს გაიმართა ველომარათონი, რომელშიც მონაწილეობდა 50-მდე ახალგაზრდა ბათუმის საკრებულოს დეპუტატებთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად. ახალგაზრდების პროფესიული არჩევანის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთა მოთხოვნით, გაიმართა და ამ დრომდე იმართება შეხვედრები რეგიონულ ტელევიზიებში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, უმაღლეს საბჭოსა და საკრებულოში. 2023 წლის „ქალთა კვირეულის" ფარგლებში, ბათუმის საკრებულოსთან არსებული გენდერული საბჭოსა და მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა აქტივობები, რომელშიც ჩაერთნენ ახალგაზრდები სხვადასხვა სკოლიდან. ბათუმის ნობელების მუზეუმში გაიმართა პრეზენტაცია თემაზე - „ქალი ნობელიანტები ლიტერატურის დარგში". ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოსა და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, სხვადასხვა კერძო და საჯარო სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარეები შეხვდნენ ბათუმის მერს, რომელმაც დეტალურად გააცნო მათ ქალაქში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტები თუ პროგრამები, ისაუბრა ახალგაზრდების როლზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საბჭოს ორგანიზებით, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ბათუმის სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარეებთან შეხვედრა გამართა ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების პროგრამების მართვის უფროსმა ია შალამბერიძემ. ქალბატონმა იამ დეტალურად ისაუბრა ახალგაზრდული ცენტრის 2023 წლის პროგრამებზე, ასევე, მერიისა და „მრჩეველთა საბჭოს" როლზე და მოუწოდა მოსწავლეებს მაღალი ჩართულობისკენ.

**- რა პერიოდულობით ტარდება საბჭოს სხდომები?**

- ყოველი თვის დასაწყისში და, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. მაგალითად, მორიგ სხდომაზე დავგეგმეთ საინფორმაციო ვიზიტი ბათუმის საკრებულოსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში, ასევე, ბათუმის 6 სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლაში, ივნისის პირველ სამუშაო კვირაში ვეწვევით 3 სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლას. ასევე, შეხვედრა გვექნება ბსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასთან, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება ბათუმის სპორტულ ცენტრთან, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, დაგეგმილია საქველმოქმედო აქცია და ასე შემდეგ.

# მის საქმიანობაში მეტი კრეატივია, რომელიც გონებაში წარუშლელ კვალს და ემოციას ტოვებს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



*ქორწილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამაღელვებელი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ახალდაქორწინებულთათვის შეუღლების საზეიმო დღე მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერმა უნაკლოდ ჩაიაროს. მოგეხსენებათ, ქორწილის ორგანიზებისას ყველა წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. დაუვიწყარი წვეულების მოსაწყობად წყვილები ამ საქმის სპეციალისტებს მიმართავენ, რომლებიც პროფესიონალურად უძღვებიან სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას. ორგანიზატორებმა იციან, როგორ შექმნან შესაბამისი ატმოსფერო და როგორ გაახალისონ დამსწრე საზოგადოება. მხოლოდ მათ შეუძლიათ იდეების რეალობად გადაქცევა.*

*ღონისძიებების ორგანიზატორი ბათუმელი* ***ანუკი თევდორაძე*** *უკვე 7 წელია ამ სფეროშია და საკუთარი ივენთ კომპანია აქვს. თავდაუზოგავი შრომის შედეგად დღეს ბაზარზე ლიდერის პოზიციას იკავებს, შეუძლებელია ყურადღება არ მიიქციოს მისი გუნდის ნამუშევრებმა.*

**- ანუკი, რა ეტაპზე გაგიჩნდათ ღონისძიებების ორგანიზებისადმი ინტერესი?**

- პროფესიით არქიტექტორი ვარ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, არასდროს მიოცნებია ღონისძიებების ორგანიზატორობაზე. მეტიც, არც ვიცნობდი ამ პროფესიას. 7 წლის წინ, როცა პირველად აღმოვჩნდი ამ სფეროში, საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობდა ივენთ კომპანიები, შესაბამისად, საზოგადოებისთვისაც უცხო იყო ეს საქმიანობა. სრულიად შემთხვევით დავიწყე მუშაობა ერთ-ერთ ივენთ კომპანიაში. ვფიქრობდი, რომ დროებით ვცდიდი ბედს და შემდეგ ისევ არქიტექტურას დავუბრუნდებოდი. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ თურმე ჩემი ცხოვრების საქმე მქონდა ნაპოვნი. იმ მომენტიდან, როცა ეს აღმოვაჩინე, ძალიან სწრაფად დაიწყო ჩემი განვითარების ეტაპები და შედეგად დღეს უკვე საკუთარი ივენთ კომპანია მაქვს.

**- პირველი გამოცდილება რა იყო?**

- პირველად მუშაობა დავიწყე ოფისმენეჯერის პოზიციაზე, შემდეგ ჩემი სურვილიდან და მონდომებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ვერთვებოდი პროექტებში და შესაბამისად, მალევე - ღონისძიებების ორგანიზებაშიც. ამ კომპანიიდან წამოსვლის შემდეგ უფრო მეტად ქორწილების მიმართულებაზე გადავერთე.

**- იმ დროისთვის გქონდათ ამ განხრით რაიმე სახის პროფესიული ცოდნა?**

- როგორც აღვნიშნე, არ მქონდა არც გამოცდილება და არც ცოდნა, ყველაფერი რაც დღეს ვიცი, ეფუძნება მხოლოდ პრაქტიკას და გამოცდილებას, რომელმაც ჩამომაყალიბა სპეციალისტად. სამწუხაროდ, როცა მე ვიწყებდი, არ არსებობდა არც კურსები და არც სტაჟირებები, არც ახლა არის ამის ფუფუნება. სწორედ ამიტომ გამიჩნდა იდეა, ლექციები წამეკითხა და ბოლო სამი წელია, პერიოდულად ვატარებ კურსებს, სადაც ამ სფეროში დაინტერესებული ადამიანები ზღვა ინფორმაციას იღებენ. მე მათ ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ.

**- ინფორმაციას საიდან იღებდით, რა როგორ შეიძლებოდა გაგეკეთებინათ?**

- პრაქტიკიდან 80 პროცენტს, ხოლო 20 პროცენტს ინტერნეტიდან. დღემდე მუდმივად ვესწრები უცხოელი კოლეგების ვებინარებს, ვუყურებ სხვადასხვა სახის ვიდეოლექციებს და ვკითხულობ კოლეგების ინტერვიუებს.

**- თქვენი კომპანიის შესახებ მოგვიყევით, როგორ დაიწყო მისი ისტორია?**

- ძალიან სწრაფად ვცდილობდი განვითარებას. მივხვდი თუ არა, რომ პირველ სამუშაო ადგილას - ივენთ კომპანიაში ამოვწურე ჩემი რესურსი, გადავერთე ახლის ძიებაზე. ასე ამოვყავი თავი ქორწილების უცხოურ სააგენტოში, სადაც მხოლოდ უცხოელ წყვილებთან გვქონდა კომუნიკაცია. ეს კიდევ უფრო მაღალი დონის გამოცდილებაა, რადგანაც ქართველ და უცხოელ მომხმარებელთან მუშაობა ძალიან განსხვავდება. ამის შემდეგ მიმიწვიეს ერთ-ერთ ცნობილ ჰოლდინგში შემავალ სასტუმროში ღონისძიებების მენეჯერის პოზიციაზე, რაც გახდა ჩემი კარიერის დამაგვირგვინებელი ეტაპი. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მზად ვიყავი დამოუკიდებლად დამეწყო საქმიანობა. კერძო დაკვეთებზე იქამდეც მქონდა გამოცდილება, დამოუკიდებლადაც ბევრი ღონისძიება მქონდა ჩატარებული, თუმცა როცა საბოლოოდ გადავწყვიტე სამსახურიდან წამოსვლა, ეს იყო სრულიად ახალი გამოწვევა. ვთქვი, რომ ეს იყო ბოლო სამსახური, სადაც უფროსი მეყოლებოდა და მე აუცილებლად შევქმნიდი წარმატებულ კომპანიას. სამსახურიდან წამოვედი მხოლოდ დანაზოგის იმედად. არ მქონდა არანაირი გეგმა, არც მიმდინარე შეკვეთები და შესაბამისად, არც კლიენტები მყავდა, მაგრამ მქონდა უდიდესი რწმენა, რომ აუცილებლად გამომივიდოდა. ასეც მოხდა! სამწუხაროდ, ამ ყველაფერს დაემატა პანდემია, რომელმაც ოდნავ უკან დამხია, მაგრამ ყველაფერი ჩემი თავდაუზოგავი შრომით დავძლიე. თავიდანვე მქონდა ჩაფიქრებული, რომ მხოლოდ მაღალი დონის, მაღალი ხარისხისა და შესაბამისად, მაღალი ბიუჯეტის ღონისძიებებზე უნდა მემუშავა და ასეც მოხდა.

**- დიდი გუნდი ხართ?**

- უშუალოდ ორგანიზების პროცესში არ არის დიდი გუნდის საჭიროება, რადგან ლიმიტირებულ რაოდენობაზე ვმუშაობთ. მყავს ასისტენტი და ტექნიკური მენეჯერი, ასევე დამხმარე მარკეტინგის მიმართულებით. ღონისძიებების დღეს აუცილებლად ვიმატებთ კოორდინატორებს, ხოლო გუნდის დანარჩენი ნაწილი - დიზაინერები, ფოტო-ვიდეო გადამღებები, მუსიკოსები, ტექნიკოსები - ეს ცვალებადი კონტინგენტია, რომელიც ყოველი ღონისძიებისთვის ინდივიდუალურად შეირჩევა.

**- რა არის თქვენთვის ყველაზე რთული მუშაობის პროცესში?**

- ჩემთვის არ არსებობს რთული ამოცანა, არც - შეუძლებელი. ზუსტად ვიცი, რომ ნებისმიერ გამოწვევას წარმატებით გადავლახავ და შესაბამისად, ამას შემზადებული ვხვდები. სითამამეს მაძლევს გამოცდილება და ძლიერი გუნდი ზურგს უკან, რომელიც ზუსტად ვიცი, ყველაფერს შეძლებს ჩემთან ერთად.

**- რამდენად შემოქმედებითი პროცესია ამა თუ იმ ღონისძიებაზე მუშაობა?**

- ვიტყოდი, რომ სამზადისი ნაკლებად შემოქმედებითია, რადგანაც ძირითადი დრო ეთმობა კომუნიკაციას, ლოგისტიკას, ორგანიზებას, საქმეების დელეგირებას, თუმცა კრეატივსაც დიდი დრო ეთმობა. ბუნებრივია, ხშირად, ბიუჯეტში არ ვართ შეზღუდულები და დამკვეთთან ერთად ვშლით ფრთებს, რის შედეგადაც ვიღებთ ძალიან განსხვავებულ, შემოქმედებით პროექტებს.

**- რა არის მთავარი, რაც ადამიანმა თქვენი ღონისძიებიდან უნდა წამოიღოს და როდის ხვდებით, რომ ღონისძიება შედგა?**

- პირველი არის ემოცია, რომელიც აუცილებლად დადებითი უნდა იყოს. ჩვენთან კომუნიკაციის პროცესში დამკვეთი აუცილებლად იმუხტება სწორი ენერგიით, რომელიც შემდგომში გადაიზრდება შეგრძნებაში, რომ მისი ოცნება ახდა, რაც, დამეთანხმებით, უმთავრესია. ღონისძიება წარმატებულად ითვლება მაშინ, როცა დამკვეთი აღნიშნავს, რომ მან მიიღო ზუსტად ის შედეგი, რაც ჰქონდა ჩაფიქრებული, რასაც წარმოიდგენდა - ან ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ აუსრულდა!

**- თუ გიფიქრიათ, კიდევ რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენს საქმეში, რა მიმართულებით უნდა განვითარდეთ?**

- უკვე ვარ ამ პროცესში. როგორც აღვნიშნე, ვმუშაობთ მხოლოდ განსხვავებული კონცეფციის მქონე ღონისძიებებზე. ყოველი მომდევნო პროექტი გამოირჩევა წინასგან და აუცილებლად გავაგრძელებთ ამ მიდგომას. სხვადასხვა ადამიანისთვის გაკეთებული ღონისძიება უნდა იყოს შესაბამისად განსხვავებული და კონკრეტული პიროვნებისთვის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, შემდეგი ნაბიჯი ჩემს საქმიანობაში მიმართულია მეტი კრეატივისკენ, მეტი ხელოვნების ნიმუშის შექმნისკენ, რომელიც ხალხს ალაპარაკებს და მეხსიერებაში წარუშლელ კვალს და ემოციას უტოვებს.

**- შეიძლება ითქვას, რომ სადღესასწაულო ღონისძიებების, წვეულებების გადახდის კულტურა საქართველოში დამკვიდრდა, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა?**

- სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდი ასე. კი აღნიშნავენ გარკვეულ დღესასწაულებს, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც კვებისა და გართობის ნაწილზე კეთდება. ჯერ ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ ჩამოყალიბდეს ღონისძიების ორგანიზატორის დაქირავების კულტურა. ხალხს არ აქვს განსხვავებული მომსახურების მიღების მოთხოვნა, თუმცა არის მცდელობები და ეს უკვე კარგია. ჩვენ, ძირითადად, უცხოელებთან ვმუშაობთ. დიახ. უცხოელებთან განვიხილავთ, რა გავაკეთოთ საინტერესო და განსხვავებული, ქართველ დამკვეთთან კი გვიწევს ახსნა და დამტკიცება, რატომ ვართ საჭირო, რატომ უნდა გადაიხადონ თანხა განსხვავებულ სერვისში.

**- აქვს თუ არა საქართველოს პოტენციალი, კონკურენცია გაუწიოს ევროპის ქვეყნებს?**

- პოტენციალი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ჯერ ამისგან ძალიან შორს ვართ... თუმცა მჯერა, რომ სწორი ნაბიჯებით ეს ინდუსტრია აუცილებლად განვითარდება! მე პირადად ვთვლი, რომ ამაში წვლილი ყოველდღიურად შემაქვს. როგორც სოციალური ქსელების, ასევე ვიდეობლოგებისა და ტრენინგკურსების მეშვეობით მუდმივად ვტრანსლირებ, თუ რა არის სწორი და როგორ უნდა ხდებოდეს ღონისძიებების ორგანიზება.

**- თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?**

- სამწუხაროდ, არასდროს, რადგანაც ყოველთვის არის ისეთი საკითხები, რომლებსაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში ვაკეთებ, მე ხომ უცხოელებთან ვმუშაობ. ხშირად გვაქვს დროის სხვაობა ქვეყნებს შორის, შესაბამისად მიწევს გვიანი ზარების ან მიმოწერების განხორციელება. შედარებით მშვიდი პერიოდი ზამთარია, თუმცა შინაგანად ამ დროსაც ვერ ვახერხებ მოდუნებას, ვფიქრობ, ამ საკითხზე სამუშაო მაქვს! ერთადერთი, რასაც აუცილებლად ვცდილობ, ჩემს შვილთან და მეუღლესთან დროის გატარებაა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მეუღლეც ჩემს საქმიანობაშია ჩართული და შვილიც ხშირად დაგვყავს ღონისძიებებზე.

**- ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ღონისძიება, რომელიც დაგიგეგმავთ, რითი იყო გამორჩეული?**

- ჩემთვის ყველა ღონისძიება გამორჩეულია, მახსოვს აბსოლუტურად ყველა წყვილი თუ დამკვეთი, ვისთანაც შეხება მქონია! ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი იყო პირველი დამოუკიდებელი ღონისძიება - უცხოელი წყვილის ქორწილი, რომელიც სრულიად მარტომ გავაკეთე. სავსე იყო ფორსმაჟორებით, ამასთან კონფიდენციალურიც, არ შემეძლო წყვილის გამოჩენა. ეს ქორწილი დამამახსოვრდა იმით, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ჩემს პროფესიონალად ფორმირებას და დამარწმუნა იმაში, რომ სწორ გზაზე ვდგავარ.

**- ქალები უფრო მეტნი არიან ამ სფეროში თუ მამაკაცები?**

- ცალსახად - ქალები.

**- შთაგონებას რა გაძლევთ?**

- წყვილები, მათი ხასიათები, მათთან მუშაობის პროცესი, მათგან წამოსული იდეები და ოცნებები, რაზეც ისინი ძალიან დიდი მოწიწებით ყვებიან და ხშირად ჰგონიათ, რომ ამ ოცნებების ახდენა წარმოუდგენელია, ამასთან, მუდმივად სიახლეების გაცნობა, უცხოელი კოლეგების მოსმენა, ასევე ხშირად ვეცნობი ინფორმაციას ბიზნესმენებისგან და სხვადასხვა წარმატებული ადამიანისგან.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- პირველ რიგში, ვაპირებ განვავითარო ეს ინდუსტრია ისე, რომ საქართველო იქცეს კონკურენტუნარიან ბაზრად, ხელმისაწვდომი იყოს უფრო მეტი განსხვავებული სერვისი, ვიდრე ახლა არის, ვასწავლო ხალხს, რომ ღირს თანხების გადახდა ისეთ ემოციებში, რომლებიც მთელი ცხოვრება მიჰყვებათ, პარალელურად კი აუცილებლად ვგეგმავ ფარგლებს გარეთ მოღვაწეობასაც.

***" ხალხს არ აქვს განსხვავებული მომსახურების მიღების მოთხოვნა, თუმცა არის მცდელობები და ეს უკვე კარგია. ჩვენ, ძირითადად, უცხოელებთან ვმუშაობთ. დიახ. უცხოელებთან განვიხილავთ, რა გავაკეთოთ საინტერესო და განსხვავებული, ქართველ დამკვეთთან კი გვიწევს ახსნა და დამტკიცება, რატომ ვართ საჭირო, რატომ უნდა გადაიხადონ თანხა განსხვავებულ სერვისში***



# იმერელი გოგონა – ხარაულის სკოლის მასწავლებელი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



*ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლაში 11 წელია, ინგლისურ ენას სამტრედიელი თინანო სანიკიძე ასწავლის. აქ მუშაობის შესაძლებლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამამ - „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ მისცა...*

- პირველ რიგში, მადლობას ვუხდი გაზეთ „აჭარას“ ჩემი საქმიანობით დაინტერესებისთვის. სკოლა სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში დავამთავრე. ბავშვობიდან მქონდა მასწავლებლობის სურვილი. ძალიან გვიყვარდა მე და ჩემს თანატოლებს პედაგოგები, განსაკუთრებით ახალგაზრდები. ვცდილობდით, მათთვის მიგვებაძა (ჩაცმის სტილი, ქცევის მანერა, საუბარი), ბავშვებიც ხშირად „მასწავლებლობანას“ ვთამაშობდით.

**- სამტრედიაში დაბადებულსა და გაზრდილს, მასწავლებლობამდე ამ კუთხესთან რა გაკავშირებდათ?**

- სტუდენტობის წლები ბათუმში გავატარე, ვსწავლობდი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მყავდა კურსელები მთიანი აჭარიდან. მაშინ გამიჩნდა სურვილი, ახლოს გამეცნო მთის ცხოვრება, პირადი წვლილი შემეტანა აქაურთა შვილების აღზრდაში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, გადაწყვეტილება მივიღე, მემუშავა მასწავლებლად და ამის საუკეთესო გზა აღმოჩნდა აჭარის განათლების სამინისტროს ქვეპროგრამაში - „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ჩართვა. ამ უნიკალურმა პროგრამამ დიდი მოტივაცია მისცა ახალბედა პედაგოგებს, რადგან მათი კარიერა მთებში უნდა დაწყებულიყო. პროგრამის ფარგლებში მომუშავე მასწავლებლები ხელფასზე დანამატს ვიღებთ აჭარის განათლების სამინისტროდან. აღნიშნული პროგრამით მთიან რეგიონში დეფიციტური საგნების პედაგოგები საქმდებიან. მთიდან მიგრაციის შეჩერების ერთ-ერთი გზა სრულყოფილი განათლებაა. სწორედ ეს პროგრამა იძლევა შანსს, სკოლას ჰყავდეს კვალიფიციური და ენერგიით სავსე ახალგაზრდა პედაგოგები. მადლობას ვუხდი ქალბატონ ნანა შავაძეს, რომელმაც მომცა შანსი, ვყოფილიყავი ამ საოცარი გუნდის წევრი. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გვეპყრობა მთელ გუნდს ჩვენი კოორდინატორი მაია დოლიძე, ყოველთვის გვერდით გვიდგას.

**- რატომ აირჩიეთ პროფესიად უცხო ენა?**

- მოსწავლეობისას ქვეყნის მეტწილ სოფლის სკოლებში უცხო ენის (ინგლისური) პედაგოგების დეფიციტი იყო. არც ჩემი სკოლა გახლდათ გამონაკლისი, სანამ იმჟამინდელმა დირექტორმა, ქალბატონმა ლალი ხაჟალიამ არ მოიწვია სკოლაში უცხო ენის მასწავლებელი. მე დამამთავრებელ კლასში ვიყავი. მაშინ, 2006 წელს, საჯარო სკოლები ჯერ კიდევ თერთმეტწლიანი იყო. მთელი სკოლა ენთუზიაზმით შევხვდით ინგლისურის მასწავლებლის მოსვლას. მასწავლებლობისთვის ყველაზე დიდი მოტივაცია ჩემმა დამრიგებელმა, ქალბატონმა სვეტა ტყვაცირიამ მომცა. ისიც ჩვენთან ერთად დადიოდა ინგლისური ენის გაკვეთილებზე, ეს ერთგვარი კონტროლი იყო მისი მხრიდან, რასაც მაშინ ვერ ვხვდებოდით. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს პედაგოგს გაწეული შრომისათვის, მათ გამიკვალეს გზა. მადლის კეთების სურვილიც სწორედ მათგან მოდის; უსასყიდლოდ მამზადებდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სვეტა ტყვაცირია, მათემატიკასა და უნარ-ჩვევებში - ლალი ხაჟალია. ეს ყველაზე დიდი საჩუქარი იყო, რაც ცხოვრებაში მიმიღია.

**- შუახევში დაიწყეთ და ქედაში აგრძელებთ მუშაობას. პირველი სიურპრიზი?**

- ჩემთვის სიურპრიზი იყო უზარმაზარ მთებთან შეხვედრა და მთის მკაცრ პირობებთან შეგუება. იმერეთის დაბლობში თოვლი არ მოდის და პირველი ზამთარიც ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. თუმცა აქ იმდენად ადამიანური კლიმატია, ყველაფერი მიადვილდება.

**- მთის სოფელთან შეგუება როგორ შეძელით?**

- დიდ თანადგომას მიწევენ სოფლის მკვიდრნი. სოფელმა რომ ძალიან თბილად და კარგად მიმიღო, ამას ადასტურებს ჩემი ნათელმირონობა სამ ოჯახთან - ანრი დიასამიძის (მასპინძელი ოჯახის მკვიდრი), მინდია დიასამიძისა და ნია მახარაძის ნათლია ვარ. აჭარის მთიან რეგიონში რომ თბილი, სტუმართმოყვარე, კეთილი და სულითაც ლამაზი ხალხი ცხოვრობს, ამის დასტურია ჩემი მეორე მასპინძელი, გოჩა მიქელაძის ოჯახი დაბა შუახევში, სადაც ერთი წელი ვმუშაობდი საჯარო სკოლაში. დღეს კი ულამაზესი და ჭკვიანი მარიამ მიქელაძის ნათლია ვარ. მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი ორმხრივია - მეც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ვუფრთხილდები და ვაფასებ მთიელების სიყვარულს.

**- მოსწავლეებთან ურთიერთობისას რა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდით?**

- ყოველთვის სასიამოვნოდ მახსენდება ჩემი პირველი გაკვეთილი ხარაულის საჯარო სკოლაში და მოსწავლეების ფართოდ გახელილი თვალები უცხო მასწავლებლის მოლოდინში. არც ისე დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო ჩემსა და მოსწავლეებს შორის, მაგრამ მათი თბილი დამოკიდებულება დამეხმარა, თავი მეგრძნო „შინ“, გაკვეთილი დამეგეგმა მათი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე - სახალისოდ და საინტერესოდ. სიამაყით აღვნიშნავ, რომ ერთი ჩემი მოსწავლე - ანა ბერიძე უკვე სტუდენტია ინგლისური ფილოლოგიის განხრით, ორი კი ახლა ემზადება ამ პროფესიის დასაუფლებლად. მათთან ურთიერთობას დღესაც ვაგრძელებ, მაკავშირებს ნათლიობაც.

**- აღნიშნეთ, რომ აქტიური მუშაობით, მიგრაციის პროცესებსაც გარკვეულად შეაჩერებთ.**

- სკოლების მასწავლებლებით უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მიგრაციის შეჩერებას, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ არის საკმარისი. ამისათვის საჭიროა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ჩვენი სკოლის შენობა გათვლილია 250 მოსწავლეზე. წინათ ამ რიცხვს უახლოვდებოდა მოსწავლეთა რაოდენობა. 21-ე საუკუნეში მიგრაციის პროცესი გააქტიურდა. მე რომ დავიწყე მუშაობა, 69 მოსწავლე იყო სკოლაში, ახლა 55 გვყავს.

**- მასპინძელ ოჯახზე რას გვეტყვით?**

- არ მავიწყდება ქედის რესურსცენტრში ჩემი შეხვედრა ხარაულის სკოლის დირექტორ მაყვალა ზაქარაძესთან და მოხალისე ოჯახის წევრებთან - მარინე ტაკიძესა და რემზი დიასამიძესთან, რომლებიც დღემდე მიწევენ მასპინძლობას. ეს ოჯახი ხუთი წევრისაგან შედგება. ბებია - ნაზი აბუსელიძე, რომელიც მოუთმენლად მელოდება ყოველ კვირას - „ჩემი გოგო ამოვაო“, ბავშვები - ანრი და ალექსანდრე დიასამიძეები, რომლებსაც დასავით ვუყვარვარ. ვარ ანრის ნათლია, ეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა, რაც ამ ოჯახთან მაკავშირებს. ყველაზე დიდი იმედი, სიყვარული და თანადგომა მათგან მოდის.

**- იმერულ და აჭარულ კულინარიაში რა მსგავსება ნახეთ?**

- აჭარული სამზარეულო უცხო და გასაკვირი აღმოჩნდა ჩემთვის. იმერული სამზარეულო ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი და მრავალფეროვანია საქართველოში. აჭარული ტრადიციული კერძების 90 პროცენტი კარაქით მზადდება, შესაბამისად, ცხიმოვნობით და ნოყიერებით გამოირჩევა. ზოგიერთი კერძი ჩემთვის ნაცნობი იყო, მაგრამ იყო ახალი და ძალიან საინტერესო კერძები, გამოვარჩევდი „ყაისაფას“. ვცდილობ, ეს კულტურული მემკვიდრეობა ჩემს საყვარელ იმერეთში წავიღო და იქ გავასინჯო მეზობლებსა და ახლობლებს.

**- სამზარეულოში ფუსფუსი თუ გიყვართ?**

- მასპინძელ ოჯახში თავს შინაურივით ვგრძნობ. ხშირად ვაკეთებ იმერულ კერძებს, იმერელის გამომცხვარ იმერულ ხაჭაპურს სხვა გემო აქვს. არც აჭარულის გამოცხობაზე ვამბობ უარს, გემოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ, ვცდილობ, კარგი გამომივიდეს.

**- „ყაისაფას“ გარდა, კიდევ რომელი აჭარული კერძი მოგწონთ?**

- გამოვარჩევდი „სინორს“, მიყვარს რძის პროდუქტებიც. „სინორი“, ალბათ, იმიტომ მომწონს, რომ, ფაქტობრივად, მზა მასალა გაქვს მის მოსამზადებლად, სპეციალური ფირფიტები იყიდება, ნადუღი და კარაქი კი ყველას გვაქვს ოჯახში.

**- უკვე დაოჯახდით. ადგილმონაცვლეობას ხომ არ აპირებთ?**

- დაოჯახების მიუხედავად, იმდენად მიყვარს ჩემი პროფესია, რომ ამჟამადაც ვაგრძელებ პედაგოგიურ საქმიანობას ხარაულის საჯარო სკოლაში. ეს ჩემი ბავშვობის ახდენილი ოცნებაა.

**- როგორ აფასებთ მენტორ კოლეგა თამაზ აბულაძის საქმიანობას?**

- ყოველთვის ვითვალისწინებ მენტორ თამაზ აბულაძის რეკომენდაციებს. ის ყველას ფასილიტატორია. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ყოველთვის მზად არის დახმარებისთვის. ხშირად ერთად დაგვიგეგმავს გაკვეთილები და მისი რჩევა-დარიგებები დამხმარებია საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში. მადლობა მას. მიყვარს მისი ლექსი, რომელიც დაოჯახების წინა პერიოდში მომიძღვნა. დღემდე ვცხოვრობ ხარაულაში და ვაგრძელებ პედაგოგიურ საქმიანობას შესანიშნავ გუნდთან ერთად. ყოველთვის ვგრძნობ თითოეული თანამშრომლის თანადგომასა და მხარდაჭერას, რისთვისაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათ, ასევე, საუკეთესო გუნდის საუკეთესო ხელმძღვანელს, ბატონ მურმან ზაქარაძეს. იგი ყოველთვის ცდილობს, სასკოლო გარემო გახადოს უფრო კომფორტული და დაცული. ვარ უფროსი მასწავლებელი და ვზრუნავ კარიერულ წინსვლაზე. კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა; 30-40-იან წლებში ხარაულაში არაერთ იმერელ პედაგოგს უმუშავია, მათ შესახებ გავიგე ბატონ თამაზ აბულაძის წიგნიდან „ორი სოფლის ჩირაღდანი“. ურთულეს პირობებში მუშაობდნენ „ჩემი იმერლები“. მეამაყება, რომ მათი გზის შორეული გამგრძელებელი ვარ, თუმცა სად - მაშინდელი სირთულე და სად - დღევანდელობა.

# კონფერენცია «ჩვენი სულიერების ბალავარი» და «დიდაჭარობა»

მე-2 გვერდიდან

- დიდაჭარა ღირსეული ერისა და ქვეყნის მომავალზე მზრუნველი ადამიანების ადგილის დედაა. მე და თითოეული ღვთისმსახური ვერ ვივიწყებთ იმ ამაგს, რაც «დიდაჭარობის» წამოწყებას აქაურებმა თამაზ, როსტომ წულუკიძეებმა, იოსებ შავაძემ, ბეჟან გობაძემ შეალიეს. აწ განსვენებული, სოფლის სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამაზ წულუკიძე კონფერენციაზე, საზეიმო შეკრებებზე სიტყვით გამოდიოდა, საზრიან წინადადებებს გვთავაზობდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტაძრის ნანგრევებიც, ისევე, როგორც ტაძარი, უწმინდესი ადგილია, რადგან მფარველი ანგელოზი დანგრეულ ტაძარსაც პატრონობს და გზას უნათებს იმ მორწმუნეს, რომელიც რწმენით და სასოებით მიდის ისეთ ნანგრევებთან, როგორიც თარანგელოს გორზეა შემონახული. შევთხოვოთ უფალს, რომ აქ ტაძარი აიგოს. იმედს ის საქმეები გვაძლევს, რომელიც უკვე დაწყებულია - ნანგრევებთან მისვლა მაღალი გამავლობის ტრანსპორტითაც შეუძლებელი იყო, ახლა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის ძალისხმევით ასფალტ-ბეტონისსაფარიანი გზაა. მოსვლა არ გაგვჭირვებია, იმედი მაქვს, რომ ღვთის მადლით, თითოეული ჩვენგანის ლოცვა-კურთხევით, დავუბრუნდებით ჩვენი დიდი წინაპრების იმ რწმენას, რომელმაც გადაარჩინა საქართველო, გადაგვარჩინა თითოეული ჩვენგანი, - თქვა მეუფე სპირიდონმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის «ჩვენი სულიერების ბალავარი» მონაწილენი იყვნენ დიდაჭარასა და სხალთაში.

- 9 მაისს მამას 63 წელი შეუსრულდებოდა. სიცოცხლის ბოლო ზაფხული აჭარის მთიანეთში გაატარა. მისი ჩანაწერები შევიტანეთ წიგნში: «მარეთის ხეობის (ზემო აჭარა) ისტორიული გზებისა და ტოპონიმიისათვის (თედო სახოკიას კვალდაკვალ)». თბილისში დაბადებულსა და იქ მცხოვრებს, აქამდე არ მერგო პატივი, დავსწრებოდი «დიდაჭარობას», თვალი შემევლო იმ სიწმინდეებისთვის, რაც დიდაჭარასა და სხალთის ხეობაში გვაქვს. ნანახმა და განცდილმა გადამაწყვეტინა, აქაურობას ხშირად ვესტუმრო. ის პროცესები, რაც მამის, ტარიელ ფუტკარაძის, მშობლიურ კუთხეში მიმდინარეობს, ყველა მართლმადიდებლისთვის მისაბაძი უნდა იყოს, - გვითხრა ტარიელ ფუტკარაძის ქალიშვილმა ნათიამ.

კონფერენციის მონაწილეების დიდაჭარასა და სხალთაში მეგზურობა ანზორ ბოლქვაძემ და ფრიდონ ფუტკარაძემ ითავეს.

- აჭარის მთიანეთის ტურისტები, ერისა და ქვეყნის მოამაგე ადამიანები ხშირად სტუმრობენ და მადლიერების გრძნობით ტოვებენ აქაურობას. საერთაშორისო კონფერენციის «ჩვენი სულიერების ბალავარი» მონაწილეებს «დიდაჭარობაზე» დასწრება, გაცნობითი ხასიათის ექსკურსია ბევრს შესძენს, რაც შემდგომში მათ კვლევებში აისახება. კემბრიჯის უნივერსიტეტისა და რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, სხვა მონაწილეები აკეთებდნენ ჩანაწერებს, ვიდეოსა და ფოტოზე აღბეჭდავდნენ ყველაფერს, რაც მათთვის სიახლე, აღმოჩენა იყო, - გვითხრა ანზორ ბოლქვაძემ.

* * *

უკვე რამდენიმე წელია სამების საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე (მჭედლიშვილი) თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაპიზონიდან ჩოხოსანთა დასთან და მღვდელმსახურებთან ერთად ამოგზაურებს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატებს. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. 12 მაისს ხატები ხულოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამონასტრო კომპლექსში იყო დასვენებული. არქიმანდრიტი იოანე და მღვდელმსახურები წირვა-ლოცვაში მონაწილეობდნენ, რომლის დასრულების შემდეგ, გოდერძის უღელტეხილის გავლით, ხატები თბილისში - სამების საკათედრო ტაძარში წააბრძანეს.



- დღეს, როცა საქართველოში ქრისტეს უპირველესი მოციქულის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემობრძანებას ვზეიმობთ, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, ვინ ვართ, რისთვის ვცხოვრობთ, საიდან მოვდივართ. ამქვეყნად უმიზნოდ არავინ მოვსულვართ, ყველას ჩვენი საქმე გვაკისრია. ჩვენთვის უდიდესი პატივია, მოვილოცოთ წმინდა ანდრიას გზებზე. ჩოხოსნების, პროფესორ გიორგი ანდრიაძის თანხლებით, ჯემურში (ფიჭვნარი) გახლდით. მოვილოცეთ ლაზეთში, ბათუმში. 12 მაისს, დილით, უკვე ხულოში ვიყავით. ჩვენი ყველაზე დიდი მოვალეობაა, მორწმუნეებს ჭეშმარიტების გზაზე დადგომაში დავეხმაროთ. უფალმა დალოცოს წმინდა ანდრიას წილხვედრი მიწა, ჩვენც მშვიდობისა და სიხარულის გზით გვატაროს. ღმერთმა დალოცოს დიდაჭარა, ის ადგილი, სადაც ეკლესია უნდა აშენდეს. იგი სულიერი საყრდენი იქნება ყველა ქართველისთვის, - გვითხრა არქიმანდრიტმა იოანემ.

# მხატვრობა – მისი სათქმელის ყველაზე უკეთ გამომხატველი სივრცე

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*მხატვარი, პროზაიკოსი და მუსიკოსი ლიზი ბუდაღაშვილი ახალგაზრდა, წარმატებული შემოქმედია. მისი ნახატები გულგრილს არავის ტოვებს. არაერთი წარმატება მოიპოვა სხვადასხვა კონკურსში. 2013 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული, 2015 წელს კი ლიზის ნოველამ „მოხუცი თეთრი მეფე“ ნეაპოლში გამართულ კულტურული კლასიკის კონკურსზე ლიტერატურული პრემია დაიმსახურა. 2017 წელს კონკურს „ზღვაურის“ ოქროს დიპლომის მფლობელი გახდა*

*გოგონამ სკოლის დამთავრებისთანავე მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტიდან მიიღო მოწვევა. ახლახან გამოიცა მისი ახალი კრებული „ციცინათელები“, ასევე აქტიურად მონაწილეობს გამოფენებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ბავშვობიდან წარმატებულია არამარტო ნიჭის წყალობით, ლიზი საკუთარი ხელით ძერწავს საკუთარ კარიერას, მომავალს.*

**- სამი წლის წინ ჩვენი გაზეთის სტუმარი იყავით. ამ ხნის განმავლობაში რა მოხდა თქვენს შემოქმედებაში?**

- ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან გამომდინარე, შეიცვალა ჩემი სათქმელი, შესაბამისად, ნამუშევრების თემატიკაც, მუშაობის პროცესი, ვიზუალური გამოხატვის ხერხები. ადრე თუ ჩემი კომპოზიციები უფრო იმპულსურ ემოციებს ასახავდა, ტექნიკა ბევრად უფრო ჟესტური და ენერგიული, ხოლო ფერები საკმაოდ მკაფიო და მრავალფეროვანი იყო, ახლა უფრო გააზრებული, დინჯი და იმპულსისგან დამოუკიდებელია. ჩემი პალიტრაც, დროსთან ერთად, უფრო და უფრო მინიმალისტური ხდება.

**- ახლახან გამოეცით ახალი კრებული...**

- ის ჩემი სადიპლომო ნამუშევრების კატალოგია - რამდენიმე ეგზემპლარი დაიბეჭდა. ახლახან გამოიცა ჩემი ნამუშევრების კატალოგი სახელწოდებით „ციცინათელები“ („The Fireflies“), რომელიც ამავე სახელწოდების ბოლოდროინდელ

იხ. მე-8 გვ.

## უკრაინა

უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები კვლავ აქტიურ ფაზაშია. ბახმუტთან ახლოს, ჩრდილოეთ და სამხრეთ გარეუბნებში,ი 10-ზე მეტი პოზიცია დაიბრუნეს უკრაინულმა ძალებმა. რაც შეეხება ოკუპანტების იერიშებს, რუსულმა ძალებმა სუმის ოლქის 2 სასაზღვრო დასახლება დაბომბეს. სარაკეტო იერიშის შედეგად დონეცკის ოლქში 3 ადამიანი დაშავდა. ზაპოროჟიის ოლქში ოკუპანტების საარტილერიო იერიშის შედეგად დაიღუპა 1 და დაშავდა 5 ადამიანი, მათ შორის 7 წლის ბავშვი, ხერსონის ოლქში კი რუსულ საარტილერიო თავდასხმას ერთი მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა.

* * *

საფრანგეთი უკრაინას ათობით ჯავშანტექნიკას და მსუბუქ ტანკს, მათ შორის AMX-10RC-ს გადასცემს. ქვეყანა ასევე ფოკუსირებულია უკრაინის საჰაერო თავდაცვის მხარდაჭერაზე, - ამის შესახებ უკრაინისა და საფრანგეთის ერთობლივ დეკლარაციაშია აღნიშნული, რომელიც პრეზიდენტების ვოლოდიმირ ზელენსკისა და ემანუელ მაკრონის შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნდა. „ეროვნული წვლილის გარდა, საფრანგეთის რესპუბლიკა აქტიურადაა ჩართული ევროკავშირისა და ნატოს ღონისძიებებში, რომლებიც ითვალისწინებს უკრაინის სამხედრო დახმარებას და უკრაინელი ჯარისკაცების მომზადებას“, - აღნიშნულია დეკლარაციაში. დოკუმენტის თანახმად, სამხედრო დახმარების გარდა, საფრანგეთი უკრაინას სამოქალაქო დახმარებასაც უწევს, მათ შორის ფინანსურ, ჰუმანიტარულ და გადაუდებელ მხარდაჭერას.

* * *

ევროკავშირი უკრაინისთვის იარაღის მიწოდების დაჩქარებას აპირებს. ამის შესახებ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებასთან ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, კულებამ ევროკავშირელ კოლეგებს სტოკჰოლმში გამართულ შეხვედრაზე განუცხადა, რომ კიევს მეტი მხარდაჭერა სჭირდება რუსული შემოჭრისგან თავის დასაცავად. „ბახმუტის რაიონში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს, უკრაინას დღეში დაახლოებით 1000 საარტილერიო გასროლა სჭირდება. 1000 - დღეში მხოლოდ ბახმუტში“, - განაცხადა ბორელმა. მისი თქმით, ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა უკრაინისთვის საბრძოლო მასალის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების დაჩქარებული პროცედურებით განხილვას. ახლა ევროპის ქვეყნებს მოუწევთ გახსნან საკუთარი რეზერვები და დაძლიონ ლოგისტიკური სირთულეები.

* * *

დიდი შვიდეულის (G7) ქვეყნების ფინანსთა მინისტრები, 2023 წლისთვის და 2024 წლის დასაწყისისთვის, უკრაინის ეკონომიკური და საბიუჯეტო მხარდაჭერის 44 მილიარდ დოლარამდე გაზრდაზე შეთანხმდნენ. ამ ინფორმაციას იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. „საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად, უკრაინის საბიუჯეტო და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის ჩვენი ვალდებულებები 44 მილიარდ დოლარამდე გავზარდეთ, რამაც საშუალება მოგვცა დაგვემტკიცებინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა უკრაინისთვის 15,6 მილიარდი დოლარის ოდენობით, ოთხი წელზე“, - ნათქვამია განცხადებაში. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეს მხარდაჭერა უკრაინას აძლევს ნდობას და საშუალებას, უზრუნველყოს მთავრობის ფუნქციონირება, განაგრძოს ძირითადი სერვისების მიწოდება, შეაკეთოს დაზიანებული კრიტიკული ინფრასტრუქტურა და მოახდინოს ეკონომიკის სტაბილიზაცია. G7-ის ქვეყნებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი გააგრძელებენ ერთობლივ ძალისხმევას უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის შეკეთების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მხარდასაჭერად.

* * *

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ რიში სუნაკის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი „შედარებით მალე“ მზად იქნება, უკრაინელი მფრინავები დასავლეთის მიერ მიწოდებული მოიერიშე თვითმფრინავების გამოყენების შესწავლის მიზნით გაწვრთნას. მოიერიშე თვითმფრინავების შესახებ ვოლოდიმირ ზელენსკის კომენტარების შემდეგ, სუნაკმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი მზადაა, უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების კოალიციის მთავარი მონაწილე იყოს, თუმცა მისი თქმით, საბრძოლო თვითმფრინავების შესაძლებლობების გაძლიერება იოლი საკითხი არ არის. „არ არის ადვილი საკითხი, როდესაც განვიხილავთ თვითმფრინავების საბრძოლო პოტენციალის შექმნას. ეს არ არის მხოლოდ თვითმფრინავების მიწოდება. ეს ასევე არის პილოტების მომზადება და ლოგისტიკასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ამაში“, - აღნიშნა სუნაკმა. ვოლოდიმირ ზელენსკიმ და რიში სუნაკმა შეხვედრა ლონდონთან ახლოს, ჩექერსის რეზიდენციაში გამართეს.

* * *

ესტონეთმა გერმანიას, საფრანგეთსა და იტალიას მოუწოდა, მნიშვნელოვნად მეტი თანხები გამოყოს უკრაინის დასახმარებლად. ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგუს ცაჰკნამ განაცხადა, რომ კიევისთვის დახმარება მშპ-ს 1%-მდე უნდა გაიზარდოს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა რუსეთის აგრესიის მოგერიების მნიშვნელობას მთელი ევროპის თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისთვის. „უკრაინელებიც ჩვენთვის იბრძვიან“, - თქვა მან. კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებით, გერმანიამ ამ დროისთვის კიევს 7,4 მილიარდი ევროს დახმარება გამოუყო, რაც მშპ-ს მხოლოდ 0,2%-ს შეადგენს. საფრანგეთისა და იტალიის წილი კიდევ უფრო მცირეა (0,1%-ზე ნაკლები). ამავდროულად, ლატვიისა და ესტონეთის დახმარების წილი მშპ-ში 1,2% და 1,1%-ია. მათ მოსდევს ლიეტუვა (0,9%), პოლონეთი (0.6%) და ნიდერლანდები (0,5%). უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის პირველ წელს შეერთებულმა შტატებმა კიევს 71,3 მილიარდი ევროს სამხედრო დახმარება გადასცა, მაგრამ მშპ-ს 0,4%-ია.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# მსოფლიო თასს ხმლით ფარიკაობაში ბათუმმა უმასპინძლა

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ქართველ მოფარიკავეებს, მხოლოდ ერთმა - ლიკა ჯიჯეიშვილმა მოახერხა 24 საუკეთესოთა შორის შესვლა.

- გუნდები ძლიერი და კარგად მომზადებულები იყვნენ. ორი ფრანგი რომ ავიდა კვარცხლბეკზე, არ გამკვირვებია, ველოდი, მაგრამ გუნდურში რომ უკრაინამ გაიმარჯვა, ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო. რაც შეეხება ტურნირს, შესანიშნავად იყო ორგანიზებული. დიდი შანსია, რომ თქვენთან მაღალი რანგის ტურნირები ჩატარდეს. თუ თქვენ შესთავაზებთ, ყველა თანახმა იქნება, - გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნოვაკ ფეროვიჩმა.

- ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირი, რომელსაც ვმასპინძლობდით ბოლო წლებში. არაერთი ქვეყანა მონაწილეობდა. ძალიან დიდი იყო კონკურენცია. გუნდურში უკრაინელებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავი. სამწუხაროდ, ამ ტურნირზე არ გაუმართლა საქართველოს ნაკრებს, მაგრამ მივიღეთ ძალიან კარგი გამოცდილება, რომელიც შემდგომი ეტაპისთვის გამოგვადგება. ტურნირი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ სპორტი პროპაგანდას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ბევრი ახალგაზრდის მოზიდვას სპორტში და ამ კონკრეტული სახეობის პოპულარიზაციას, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

- არ ველოდით ასეთ წარმატებას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდი ვართ. ეს იყო პირველი საკვალიფიკაციო ტურნირი ოლიმპიადისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქულები, შესაბამისად, რეიტინგი, რაც მიგვაახლოებს საფრანგეთის ოლიმპიადას. ძალიან გვახარებს დღევანდელი შედეგი, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა, ახლისათვის უნდა სერიოზულად მოვემზადოთ, - აღნიშნა უკრაინელთა გუნდის წევრმა ოლგა ხარლანმა.

ასპარეზობას მსოფლიო თასის, არაერთი მაღალი რანგის ტურნირის გამარჯვებული, პარამოფარიკავე **ირმა ხეცურიანი** დაესწრო:

- ეს დღეები ძალიან ვისიამოვნე, რადგან კარგად იყო ორგანიზებული. დიდი მადლობა ფარიკაობის ფედერაციას და ბათუმს, რომ ამის საშუალება მომცა. მიხარია იმ კუთხითაც, რომ ამ ტურნირის ჩატარებით, სპორტის ამ სახეობაში საზოგადოების ინფორმაციული დონე ცოტათი ამაღლდა, უფრო პოპულარული გახდა. ეს საჭიროა, რადგან ფარიკაობა სპორტის ძალიან კარგი სახეობაა, სადაც ვითარდება ფიზიკური მონაცემები, ასევე, გონებრივი შესაძლებლობები. იმდენად მიყვარს სპორტის ეს სახეობა, რომ მასზე დაუსრულებლად მინდა ვისაუბრო. როგორც აღვნიშნე, ტურნირი არაჩვეულებრივად იყო ორგანიზებული და ამისთვის დიდი მადლობა მერაბ ბაზაძეს, ყველას, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული. მადლობა ნდობისთვის მსოფლიო ფედერაციას, რომელმაც საქართველოს მისცა ტურნირის ჩატარების შესაძლებლობა. მეამაყება სანდრო ბაზაძის გამარჯვება. ასე ვინარჩუნებთ მსოფლიოს მასშტაბით პირველობას და მიხარია, რომ მსგავს შეჯიბრებებზე დასწრების სურვილი მატულობს. როცა საზოგადოება ფარიკაობის „კეთილ თვისებებს“ ახლოს გაიცნობს, მერე უფრო დაინტერესდება სპორტის ამ სახეობით.



**- ახლა რისთვის ემზადებით?**

- ისევ მსოფლიო თასისთვის, რომელიც ივლისში პოლონეთში გაიმართება. საერთოდ, მსოფლიო თასის ყველა ტურნირი მნიშვნელოვანი და სარეიტინგოა, ქულებს ვაგროვებთ. ჯერჯერობით ძალიან კარგი შედეგები გვაქვს იმ მხრივაც, რომ ხმალშიც გუნდურადაც პირველები ვართ. ხმალი ჩემი ძირითადი სახეობაა, თუმცა ევროპის ჩემპიონობა რაპირაში მოვიპოვე.

**- რამდენი წელია, სპორტის ამ სახეობას მისდევთ?**

- დაახლოებით ათი წელი. ისეთი სახეობაა, რომ თანდათან ეცნობი ღრმად, შენში „შემოდის“. ადრე მეგონა, რომ ამ სპორტის შესახებ ყველაფერი ვიცოდი.

შეჯიბრებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დავით ბაციკაძე, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნიჟარაძე, სპორტის სასახლის დირექტორი შოთა დავითაძე დაესწრნენ.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/05/23, 20 50 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# გამოფენა, რომელმაც განსხვავებული ემოციებით დაგვმუხტა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთ ნიჭიერ, ცნობილ მოქანდაკე ირაკლი წულაძის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. იგი პროექტ „ნექსუსის“ ფარგლებში იმართება და მას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავისუფალი პროექტების ფარგლებში აფინანსებს.*

აღსანიშნავია, რომ ირაკლი წულაძის სამი ნამუშევარი უკვე ამშვენებს ბათუმს. ერთ-ერთია „ოცნების სვეტი - ლაბირინთი“, ბრინჯაოში, ქვასა და ფოლადში დამზადებული, რომელიც ახალ ბულვარშია განთავსებული, მეორე - ბრინჯაოში, ბეტონსა და მინაში გამოსახული „პირველი სიყვარული“ სასტუმრო „შერატონის“ მახლობლად დგას, მესამე - ძველ ბულვარში, იასონ გორდეზიანის ქანდაკებაა. რაც შეეხება გამოფენას, მასზე წარმოდგენილი თითოეული ნამუშევარი, მათ შორის, „გასეირნება“, „კოცნა“, რომელიც მოქანდაკემ ხელოვნების მუზეუმს მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში გადასცა საჩუქრად, „ღრუბლებში“, „სიყვარულის ღუზა“, „ლურჯი ცეკვა“, „ერთად“, „ნაბიჯები (გულის სარკე)“, „სიყვარულის ნათება“, „მეოცნებე“, „წვეთი“, „სიყვარულის ნოტები“, „უსასრულობა“, „ცხენი“, „გულის გასაღები“ ძალიან საინტერესოა და ამაში ნამდვილად დამეთანხმება ის დამთვალიერებელი, რომელმაც უკვე იხილა გამოფენა.

- ეს გამოფენა განსაკუთრებით მოუხდა სამუზეუმო სივრცეს. მიმართულება, რომელიც ამ ნიჭიერ შემოქმედს აქვს, ნამდვილად არის ჩვენს ქალაქთან შესაბამისი, ის სიყვარული, რომელიც თან სდევს მის ხაზს, უხდება ბათუმს, ჩვენს ატმოსფეროს და ვფიქრობ, რომ მომავალში, თანამშრომლობის კუთხით, კიდევ არაერთ პროექტს შევთავაზებთ, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოფენაა, ვმასპინძლობთ ცნობილ მოქანდაკეს. ჩვენი მუზეუმი ყოველთვის ღიაა ყველასთვის და განსაკუთრებით, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ მუზეუმს მან ერთი ქანდაკება საჩუქრად გადმოსცა, - გვითხრა აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელმა თეონა ზოიძემ.



- ბათუმი, მისი ხასიათი, ყველაფერი „დაჭერილი“ აქვს ირაკლი წულაძეს თავის შემოქმედებაში, სადაც სივრცეც არის და სიყვარულიც. ის მუდამ ძიებაშია, მსოფლიო დონის მოქანდაკეა, გულწრფელად ვამბობ ამას. ირაკლი კეთილი ბუნების ადამიანია და ეს ყველაფერი ნათლად ჩანს მის შემოქმედებაში, - გვითხრა არქიტექტორმა გია ბალოშვილმა.

- ის ერთ-ერთი გამორჩეული მოქანდაკეა. ირაკლი წულაძის ყველა ქანდაკება არის საზოგადოებასთან, სამყაროსთან, იმ მდგომარეობასთან, გეოგრაფიასთან კავშირში, რომელშიც დგას და ცხოვრობს, მნახველის ურთიერთკავშირი უცილობლად იგრძნობა, ამიტომ ჰქვია ამ პროექტს „ნექსუსი“ - კავშირი. ვფიქრობ, ეს გამოფენა ყველამ უნდა ნახოს, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- დიდი პასუხისმგებლობაა, ხელოვნების მუზეუმში, ასეთ გარემოში გამოფინო ნამუშევრები. თითოეულში არის ჩადებული უზარმაზარი გრძნობა, მუხტი, რომელიც მერე ასხივებს და მნახველში სხვადასხვა განწყობას ან ემოციას იწვევს. ვფიქრობ, რომ ჩემი სულის მრავალი ნაწილი გადანაწილებულია სხვადასხვა კომპოზიციაში. ეს ყველაფერი ჩემი ხედვა და პლასტიკაა. ყველა ნამუშევარი ჩემი ემოციის, მუხტის, განწყობის მატარებელია და, შესაბამისად, იგივე ემოციას იწვევს მნახველში. მადლობა ხელოვნების მუზეუმს, რადგან საოცარ ატმოსფეროში, ერთად გამოფინა ჩემი ნამუშევრები. ისიც მიხარია, რომ ბათუმის ბულვარში უკვე დგას ჩემი სამი ქანდაკება, ბულვარი კი, მოგეხსენებათ, არა მარტო ჩემი, არამედ მთელი საქართველოს სული და გულია, - გვითხრა ირაკლი წულაძემ.

- 13 წელზე მეტია ვიცნობ. ირაკლი წულაძე ერთ-ერთი ის უნიჭიერესი მოქანდაკეა, ვისითაც ამაყობს მთელი საქართველო. ბედნიერები ვართ იმით, რომ პერსონალური გამოფენის დათვალიერების შესაძლებლობა მოგვეცა. მისი შემოქმედება გამორჩეულია უნიკალურობით, აბსტრაქტული აზროვნების უნარით. იგი შესანიშნავად ფლობს მასალას და იყენებს კიდეც, რაც ნათლად ჩანს აქ წარმოდგენილ ექსპონატებში, თითოეულ ნამუშევარში. ირაკლი მუდამ ძიებაშია, არცერთ კონკურსს არ ტოვებს, ხშირად მონაწილეობს, რაც ძალიან კარგია. მისი ნამუშევრები ძალიან კარგად ჯდება ბათუმის სივრცეში, თბილისშიც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, - გვითხრა არქიტექტორმა ჯიმსონ გურგენიძემ.

„სივრცეში მიგნებული ემოცია, მსუბუქი ნაძერწი, მოუხელთებელი ხაზი და პლასტიკის რითმი... ქანდაკება, რომელსაც ზღვა უხდება, ირაკლის ღიმილი, ხოლო მის შემოქმედებას - სერიოზულობა“, - წერს ირაკლი წულაძის „პირველ სიყვარულზე“ მხატვარი გია გუგუშვილი.

გამოფენა დაათვალიერა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

გამოფენა 20 მაისამდე გასტანს.

# მხატვრობა – მისი სათქმელის ყველაზე უკეთ გამომხატველი სივრცე

მე-7 გვერდიდან

ფერწერულ სერიას მოიცავს და მის მოტივებს აღწერს. ამ სერიაში გაერთიანებული დიდი ზომის ნამუშევრები ბავშვობის თემატიკას ეხება და სიზმრისეული კომპოზიციები მასთან დაკავშირებულ ნოსტალგიასა და მოგონებებს ასახავს. ეს კატალოგი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, თუმცა იგეგმება უფრო ვრცელი კატალოგის გამოცემა დიდი ტირაჟით.

**- პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი, - სად შეძელით უკეთ თვითრეალიზება?**

- საკუთარი თავი ყველაზე მეტად მხატვრობაში ვიპოვე. მუსიკისა და ლიტერატურისადმი უდიდესი სიყვარულის და ტკბილი მოგონებების მიუხედავად, მხატვრობა ჩემი სათქმელის ყველაზე ზუსტად გამომხატველ ერთგულ სივრცედ რჩება და მეც უკვე წლებია, ყველაზე ერთგულად მას ვემსახურები. ლექსებს ისევ ვწერ, უფრო ნაკლები სიხშირით, თუმცა მაინც ვცდილობ, შევინარჩუნო და ახლოს დავრჩე პოეზიის ულამაზეს სამყაროსთან.

**- პირველი ნახატი და დღე, როცა თქვენი განცდა ფერებით გადმოეცით...**

- რამდენიმე მოგონება მაქვს ბავშვობიდან, რომლებიც ჩემი ხატვის პროცესს და ამით უდიდესი სიხარულის მიღებას ასახავს, მაგრამ უშუალოდ ფერებს თუ გავიხსენებთ, ალბათ, 7 წლის ვიყავი. სამხატვრო სკოლაში მისაღებ გამოცდაზე რამდენიმე თემა მოგვცეს ასარჩევად და მახსოვს, ჩემი დაბადების დღე დავხატე გუაშებით. ბევრი მწვანე იყო, ბევრი ვარდისფერი. საინტერესოა, რომ 23 წლის ასაკშიც იმდროინდელ დაბადების დღეებს ვუბრუნდები და სწორედ მსგავსი მოგონებებიდან ვიღებ უდიდეს შთაგონებას.

**- მოგვიყევით თქვენი ერთი ნახატის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ...**

- „ციცინათელა“ ჰქვია და სერიაში პირველი ნამუშევარია. დიდი, ფერწერული ტილოა, ძირითადად, ლურჯი ფერი დომინირებს და ბავშვობის ნოსტალგიას და სამშობლოდან სიშორეს ასახავს. სამშობლო ამ შემთხვევაში, - პირობითია, გაშლილი მდელო და შორეული ჰორიზონტიც სწორედ იმ ემოციებს ემსახურება, რომელსაც სამშობლოდან დიდი მანძილით დაშორება იწვევს. შუა მდელოში დიდი ბროლის ჭაღი ჰკიდია, რომელიც თავისი უცნაური ბუნებით, სურათის სიურრეალისტურ ხასიათს აძლიერებს. ამ სერიაში ხშირად ვიყენებ ინტერიერიდან გამოდევნილ ნივთებს, რათა გამოვსახო სამშობლოდან შორს ყოფნით გამოწვეული გაუცხოვება და ამავდროულად, ჩვენი კერის ის პატარა ნაწილიც წარმოვაჩინო, რომელიც გულით მუდამ თან დაგვაქვს. მთლიანობაში, ნამუშევრის სიზმრისეული ხასიათი შორეული მოგონებების ბუნებას ასახავს - როგორ იშლება ზღვარი რეალურად მომხდარსა და გამოგონილს შორის.



**- ბუნება ყველაზე დიდი მხატვარია. რას სწავლობთ მისგან?**

- ალბათ, სიმშვიდეს, ზომიერებასა და უბრალოებას.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ხელოვნება?**

- ხელოვნებას მე ვხედავ როგორც ძალას, რომელიც ადამიანს აძლევს იმედს და ასწავლის ისეთ სიღრმეებზე ფიქრს, რომელზეც ყოველდღიური ცხოვრებით გადატვირთულმა შეიძლება ხშირად არ იფიქროს. ხელოვნება ჩემთვის დიდ გულწრფელობასა და სიკეთესთან ასოცირდება.

**- ამერიკაში ცხოვრებთ. როგორია ემიგრანტის ცხოვრება, როგორია თქვენი თვალით დანახული ამერიკა და ამერიკელები?**

- რამდენად რთულიც სამშობლოს მონატრებით ცხოვრებაა, იმდენად აძლიერებს ეს მონატრება მის სიყვარულს. უამრავი სხვა ქვეყნის ერებთან ერთად ცხოვრება და მათი კულტურის გაცნობა საკუთარი ქვეყნის უნიკალურობას გახსენებს და საოცარი შეგრძნებაა იმის ცოდნა, რომ არავის ჰგავს შენი ქვეყანა. რაც შეეხება ამერიკას, ყველაზე მეტად მისი, როგორც ქვეყნის, მიმღებლობა მიყვარს. ყველა კარს ფართოდ უხსნის ყველას, ვისაც თავისი საქმე უყვარს და მისი ერთგულია. ამერიკის მრავალფეროვნებაც ძალიან მიყვარს. მთელი მსოფლიოდან უყრის ადამიანებს თავს. შეუძლებელია, უამრავ ჯადოსნურ ამბავს არ გადააწყდე და შთაგონებით სავსე არ იყო. უშუალოდ ამერიკელებს რაც შეეხება, ერებზე განზოგადებით საუბარი არ მიყვარს, რადგან კეთილი და არცთუ ისე კეთილი ადამიანი ყველგან მოიძ--ებნება, მით უმეტეს, ამერიკაში, რომელიც ასეთი მრავალფეროვანია. ამერიკელებიდან ბევრმა არ იცის საქართველოს შესახებ, ძირითადად, ჯორჯიის შტატზე ვსაუბრობთ ჰგონიათ. თუმცა ეს კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის ამერიკელების იმ ნაწილთან შეხვედრას, რომლებსაც სმენიათ პატარა საქართველოზე და მისი კულტურის შესახებაც იციან.

**- არ ფიქრობთ სამშობლოში დაბრუნებას? ყველაზე მეტად რა გენატრებათ, რაზე წუხართ და რა გახარებთ?**

- რა თქმა უნდა, მომავალში ვფიქრობ საქართველოში დაბრუნებას, თუმცა იქამდე საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ჩემი მოღვაწეობით მინდა ხელი შევუწყო თანამედროვე ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას. ვწუხვარ საქართველოში პერსპექტივებისა და პოტენციალის კონტრასტზე, გული მწყდება, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ თუ განათლების მისაღებად წასვლა ხშირად იძულებითი გადაწყვეტილებაა და არა - სურვილიდან გამომდინარე. მახარებს ჩემი თაობა, რომელიც, იმედი მაქვს, დაუბრუნდება საქართველოს და ერთად, ქართველ სტუდენტებს ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ახალ შესაძლებლობებს შევუქმნით. მონატრებას რაც შეეხება, ყველაზე მეტად ურთიერთობები მენატრება, გულწრფელი და უანგარო, ის გამორჩეული სითბო, სიახლოვე, სიკეთე და სიყვარული, რაც ქართველ ხალხს გვაქვს. ძალიან ჯადოსნური ქალაქია თბილისი და რთულია, მუდმივად არ გენატრებოდეს, როცა შორს ხარ.

**- რა მიგაჩნიათ ადამიანის პიროვნული სიძლიერის წყაროდ და რას ურჩევდით ადამიანებს, გამოწვევებს რომ გაუმკლავდნენ?**

- შინაგანი სიმშვიდე მიმაჩნია ადამიანური ძლიერების საწყისად. გადამდებია შინაგანად მშვიდი მდგომარეობა და სხვაზეც დადებითად აისახება. თუმცა, ხშირად, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე რთულად მოსაპოვებელია. ამ შემთხვევაშიც, გამომუშავება სჭირდება ამ სიმშვიდის შენარჩუნებას.

**- დაასახელეთ მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, ყველაზე მეტად რომ მოგწონთ და გიყვართ...**

- მხატვრებიდან ენდრიუ უაიეტი მიყვარს ძალიან, ენდრიუ ქრენსთონი, კიკი სმიტი, მერაბ აბრამიშვილი, პიტერ დოიგი... რთულია ერთის გამოყოფა, იმდენი გენიოსია ქართულ თუ მსოფლიო თანამედროვე ხელოვნებაში. კომპოზიტორებიდან ბახს, რახმანინოვსა და შოსტაკოვიჩს გამოვარჩევ, მწერლებიდან კი მილან კუნდერას და ოთარ ჭილაძეს.

**- ყველაზე ბედნიერი სად და როდის ხართ?**

- ყველაზე ბედნიერი მდგომარეობა, ალბათ, სიყვარულია, როცა შეყვარებული ხარ, იქნება ეს საკუთარი საქმე თუ მეორე ადამიანი. და მეც ასე ვარ. რატომღაც, ყოველთვის სასიხარულო მომენტების მოლოდინის წუთებში უფრო ბედნიერი ვარ ხოლმე, ის წინასწარი აღმაფრენის ემოცია უკეთ მამახსოვრდება.

**- დაბოლოს, საკუთარ თავს რა შეკითხვას დაუსვამით და პასუხი...**

- ყოველთვის მინდოდა, მქონოდა პასუხი კითხვაზე: რატომ ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ და ბევრი მიზეზის თავმოყრის შემდეგ, ძალიან მარტივ პასუხამდე მივედი - იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია.